

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ჩაკისი თურქეთის წინააღმდეგ

(*ÇAKICI v. TURKEY*)

(განაცხადი № 23657/94)

ბანაჩენი

სტრასბურგი

1999 წლის 8 ივლისი

საქმეზე „ჩაკისი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Çakici v. Turkey*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 27-ე მუხლის (მე-11 ოქმით² შეტანილი ცვლილებებით) და სასამართლოს რეგლამენტის² შესაბამის დებულებათა საფუძველზე, შეიკრიბა დიდი პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, პრეზიდენტი
ქ-ნი ე. პალმი,
ბ-ნი ლ. ფერარი ბრავო,
ბ-ნი ლ. კაფლისჩი,
ბ-ნი ჟ-პ. კოსტა,
ბ-ნი ვ. ფუჰრმანი,
ბ-ნი კ. ჯუნგვიერტი,
ბ-ნი მ. ფიშბახი,
ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი,
ბ-ნი ნ. ვაჯიცი,
ბ-ნი ჯ. კედიგანი,
ქ-ნი ვ. ტომასენი,
ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,
ბ-ნი ტ. პანტირუ,
ბ-ნი ე. ლევიტსი;
ბ-ნი კ. ტრაია,
ბ-ნი ფ. გოლცუკლუ, *ad hoc* მოსამართლე

და ქ-ნი მ. დე-ბოერ-ბუკუიჩიო, რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა რა განმარტოებით 1999 წლის 24 მარტსა და 17 ივნისს,

სასამართლომ 1999 წლის 17 ივნისს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი.

პროცედურა

1. საქმე სასამართლოში წარადგინა, როგორც ეს დადგენილია კონვენციის ადრე მოქმედი მე-19 მუხლით², ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) 1998 წლის 14 სექტემბერს, სამი თვის ვადაში, რომელიც დადგენილი იყო კონვენციის ადრე მოქმედი 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით. საქმეს საფუძველად უდევს კომისიაში კონვენციის ყოფილი 25-ე მუხლის შესაბამისად თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის, ბ-ნი იზეტ ჩაკისის, მიერ 1994 წლის 2 მაისს თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი (№23657/94).

კომისიის მოთხოვნა მიუთითებდა ადრე მოქმედ 44-ე და 48-ე მუხლებსა და იმ დეკლარაციაზე, რომლითაც თურქეთმა აღიარა სასამართლოს იურისდიქცია (ადრე

რეგისტრატურის შენიშვნა

¹⁻² მე-11 ოქმი და სასამართლოს რეგლამენტი ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბერს.

² მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, დაემატა რა მე-19 მუხლი, სასამართლო ფუნქციონირებს მუდმივ საფუძველზე.

მოქმედი 46-ე მუხლი). მოთხოვნის მიზანს წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმის ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევას.

2. სასამართლოს ყოფილი A³ რეგლამენტის 33-ე მუხლის მე-3 (დ) პუნქტის შესაბამისად დასმული კითხვის პასუხად განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას სურდა სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღება, და დანიშნა ადვოკატი, რომელიც მას წარმოადგენდა (ადრე მოქმედი რეგლამენტის 30-ე მუხლი).

3. იმ დროს სასამართლოს პრეზიდენტმა, ბ-ნმა ბერნჰარდტმა, რომელიც იმ პალატის პრეზიდენტიც იყო, თავიდან რომ შეიკრიბა (კონვენციის ყოფილი 43-ე და რეგლამენტის ყოფილი 21-ე მუხლები), რათა განეხილა, კერძოდ, ის პროცედურული საკითხები, რომლებიც შესაძლოა წამოჭრილიყო მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე, რეგისტრატორის მოადგილის საშუალებით გააცნო თურქეთის მთავრობის წარმომადგენელს (შემდგომში „მთავრობა“), განმცხადებლის ადვოკატსა და კომისიის დელეგატს წერილობითი პროცედურის წარმართვის მექანიზმი. შემდგომში გამოცემული ბრძანების თანახმად, რეგისტრატორმა მიიღო განმცხადებლის მემორანდუმი 1998 წლის 23 დეკემბერს, ხოლო მთავრობის მემორანდუმი – 1999 წლის 4 იანვარს.

4. 1998 წლის 1 ნოემბერს, მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ და ამ ოქმის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, საქმე განსახილველად გადაეცა სასამართლოს დიდ პალატას. დიდ პალატაში შედიოდნენ *ex officio* მოსამართლეები: ბ-ნი რ. ტურმენი, თურქეთის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი), ბ-ნი ვილდჰაბერი, სასამართლოს პრეზიდენტი, ქ-ნი ე. პალმი, სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი, და ბ-ნები ჟ.-პ. კოსტა და მ. ფიშბახი, სექციათა ვიცე-პრეზიდენტები (კონვენციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-3 და მე-5 (ა) პუნქტები). დიდ პალატაში დანიშნული სხვა წევრები იყვნენ ბ-ნი ფერარი ბრაუო, ბ-ნი ლ. კაფლისჩი, ბ-ნი ე. ფუჰრმანი, ბ-ნი კ. ჟუნგვიერტი, ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი, ქ-ნი ნ. ვაჯიცი, ბ-ნი ჯ. პედიგანი, ქ-ნი ე. ტომასენი, ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა, ბ-ნი ტ. პანტირუ, ბ-ნი ე. ლევიტოსი და ბ-ნი კ. ტრაია (რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი და მე-100 მუხლის მე-4 პუნქტი).

5. 1999 წლის 7 იანვარს ბ-ნმა ვილდჰაბერმა გაათავისუფლა ბ-ნი ტურმენი პალატაში მონაწილეობიდან. ეს უკანასკნელი გადადგა დიდი პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგად, სასამართლოს რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

1999 წლის 10 თებერვალს მთავრობამ აცნობა რეგისტრატორს, რომ *ad hoc* მოსამართლედ ნიშნავდა ბ-ნ ფ. გოლცუკლუს (კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

6. სასამართლოს მოწვევის საფუძველზე კომისიამ წარადგინა ერთ-ერთი დელეგატი, ქ-ნი ჯ. ლიდი, დიდ პალატაში მიმდინარე სამართალწარმოებაში მონაწილეობის მისაღებად.

³ რეგისტრატორის შენიშვნა. სასამართლოს რეგლამენტი A ეხებოდა ყველა იმ საქმეს, რომელიც შეტანილი იყო სასამართლოში №9 ოქმის ძალაში შესვლამდე (1994 წლის 1 ოქტომბერი), ხოლო აქედან მოყოლებული 1998 წლის 31 ოქტომბრამდე – მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებიც შეტანილი იყო იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებისთვისაც ოქმი არ იყო სავალდებულო.

7. პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად მოსმენა გაიმართა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1994 წლის 24 მარტს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ;

მთავრობის სახელით:

ქ-ნი დ. აკჩაი,
ბ-ნი ბ. ცალისკანი
ბ-ნი ე. გენელი,
ქ-ნი ა. გუნაიკტი,
ბ-ნი კ. მუტაფი,

წარმომადგენელი,

მრჩეველები;

განმცხადებლის სახელით:

ქ-ნი ფ. ჰამპსონი,
ქ-ნი ა. რეიდი

ადვოკატები;

კომისიის სახელით:

ქ-ნი ჯ. ლიდი,

დელეგატი.

სასამართლომ მოისმინა ქ-ნი ლიდის, ქ-ნი ჰამპსონისა და ქ-ნი აკჩაის მიმართვები.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

ა. განმცხადებელი

8. განმცხადებელი – ბ-ნი იზეტ ჩაკისი – არის თურქეთის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1953 წელს და ამჟამად ცხოვრობს თურქეთის სამხრეთში დიარბაკირში. კომისიისთვის წარდგენილი განაცხადი მან შეიტანა როგორც საკუთარი, ისე თავისი ძმის, აჰმედ ჩაკისის, სახელით, რომელიც, როგორც განმცხადებელი ამტკიცებს, გაუჩინარდა ისეთ გარემოებებში, რომლებიც წარმოშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

ბ. ფაქტები

9. განმცხადებლის ძმის გაუჩინარების თანმდევი გარემოებები სადავოა.

10. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები მოცემულია 1-ლ ნაწილში. სასამართლოსთვის წარდგენილ მემორანდუმში განმცხადებელი დაეყრდნო ფაქტებს, როგორც ეს დადგენილია კომისიის 1998 წლის 12 მარტის მოხსენებაში (კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლი) და განმცხადებლის მიერ კომისიისთვის ადრე წარდგენილ დოკუმენტაციაში.

11. მთავრობის მიერ წარმოდგენილი მასალები მოცემულია მე-2 ნაწილში.

12. კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების აღწერა მოცემულია ბ ნაწილში. განმცხადებლის ძმის გაუჩინარებასთან დაკავშირებით ქვეყნის ორგანოებში მიმდინარე სამართალწარმოება ლ ნაწილშია განხილული.

13. განმცხადებლის ძმის გაუჩინარების თანმდევი ფაქტების დასადგენად კომისიამ ჩაატარა საკუთარი გამოძიება კონვენციის ადრე მოქმედი 28-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის შესაბამისად. ამ მიზნით კომისიამ განიხილა განმცხადებლისა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ისინი ასაბუთებდნენ შესაბამის მოსაზრებებს, და დანიშნა 3 დელეგატი, რათა ჩამოერთმიათ ჩვენებები მოწმეებისთვის 1996 წლის 3 და 4 ივლისს ანკარაში და 1996 წლის 4 დეკემბერს სტრასბურგში გამართულ მოსმენებზე. კომისიის მიერ ჩვენებათა შეფასება და მისი დასკვნები E ნაწილშია წარმოდგენილი.

1. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები

14. 1993 წლის 8 ნოემბერს განმცხადებლის ძმა აჰმეტ ჩაკისი დაპატიმრებული იქნა სოფელ ციტლიბაჰცეში ჟანდარმებისა და სოფლის მცველების მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს. დილაადრიან, როდესაც ოპერაცია დაიწყო, აჰმეტ ჩაკისი დაიმაღლა წყაროს გვერდით მდებარე სახლში, ხოლო სხვა მამაკაცები შეკრიბეს ღია ადგილას. უშიშროების ჯარებმა დაიწყეს სახლების დაცხრილვა. აჰმეტ ცაკისმა აიღო ფული 4700000 თურქული ლირის ოდენობით, რომელიც მას დამალული ჰქონდა სახლის სახურავზე, და ცდილობდა გაპარვას. ამ დროს იგი დაიჭირეს. აჰმეტ ჩაკისი სოფლიდან უშიშროების ძალებმა წაიყვანეს. ამასვე ადასტურებენ აჰმეტ ჩაკისის თანასოფლელებიც. აჰმეტ ცაკისს ფული წაართვა პირველმა ლეიტენანტმა. რემზიე ცაკისს, აჰმეტ ჩაკისის ცოლს, სოფელმა ბიჭმა უთხრა, რომ დაინახა, თუ როგორ წაართვა ფული ლეიტენანტმა მის მეუღლეს.

15. თავიდან აჰმეტ ჩაკისი წაიყვანეს ჰაზროში, სადაც, დიარბაკირში გადაყვანამდე, ერთი ღამით გააჩერეს. დიარბაკირში იგი პროვინციის ჟანდარმერიის მთავარ შტაბში მოათავსეს. დაახლოებით ექვსი-შვიდი დღის შემდეგ აჰმეტ ჩაკისი 16-17 დღის განმავლობაში იმყოფებოდა მუსტაფა ენგინთან, აბდურაჰმან ალ თან და ტაჰსინ დემირბასთან ერთად ერთ ოთახში. აღნიშნული პირები დაპატიმრებული იქნენ უშიშროების ძალების მიერ 1993 წლის 8 ნოემბერს ბაგლანში ჩატარებული ოპერაციის შედეგად. აჰმეტ ჩაკისი ცემეს, რის შედეგადაც ჩაუმტვრიეს ნეკნი და გაუტყეს თავი. იგი რამდენიმეჯერ გაიყვანეს ოთახიდან დასაკითხავად. დაკითხვის დროს მას აწამებდნენ ელექტროშოკით და თან სცემდნენ. მუსტაფა ენგინმა აჰმეტ ჩაკისისაგან შეიტყო, რომ ფული მას პირველმა ლეიტენანტმა წაართვა. ზემოთ აღნიშნული პერიოდის ბოლოს სასამართლოს სამი სხვა პატიმარი წარუდგინეს. ენგინი და დემირბაში გაათავისუფლეს, ხოლო აბდურაჰმან ალი კვლავ პატიმრობაში იქნა დატოვებული. ენგინს ამის შემდეგ აჰმეტ ჩაკისი აღარ უნახავს.

16. პროვინციის ჟანდარმერიის ცენტრალურ შტაბში 85 დღის გატარების შემდეგ 1994 წლის იანვარის ბოლოს თუ თებერვლის დასაწყისში აჰმეტ ჩაკისი დააბრუნეს ჰაზროში, სადაც იგი პატიმრობაში იმყოფებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში. მოგვიანებით იგი გადაყვანილი იქნა კავაკლიბოგაზის ჟანდარმერიის განყოფილებაში. 1994 წლის გაზაფხულზე თუ ზაფხულის დასაწყისში 13 დღის განმავლობაში აჰმეტ ჩაკისი დაინახა ჰიკმეტ აკსოიმ, რომელიც ასევე კავაკლიბოგაზში იყო დაპატიმრებული, როდესაც ისინი საკნებიდან საკვების მისაღებად გამოიყვანეს. ამ პერიოდის დასასრულს ჰიკმეტ აკსოი გადაიყვანეს ლიცეში.

17. 1996 წლის მაისში, მთავრობის არგუმენტაციის გადაცემის შემდეგ, განმცხადებელმა პირველად შეიტყო, რომ ხელისუფლების ორგანოები აცხადებდნენ, თითქოს აჰმეტ ჩაკისი მოკლული იქნა 1995 წლის 17 და 19 თებერვალს შორის კილიბოგან ჰილში (ჰანი) მომხდარი შეტაკების დროს. ვინაობის დადგენა ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ განცხადებას, რომ აჰმეტ ჩაკისის პირადობის მოწმობა ნაპოვნი იქნა ერთ-ერთ პირის გვამზე.

2. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ფაქტები

18. მთავრობა იხსენებს, რომ ხსენებულ დროს ქურთების მუშათა პარტიამ (PKK) დაანგრია მრავალი სოფელი, ტკივილი მიაყენა ათასობით უდანაშაულო მსხვერპლს და შეუწყნარებლად სდევნიდა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის მოსახლეობას.

19. მთავრობის მტკიცებით, აჰმეტ ჩაკისი არ ყოფილა წაყვანილი ციხეში უშიშროების ძალების მიერ ჩითლიბაჰცეში 1993 წლის 8 ნოემბერს ჩატარებული ოპერაციის დროს და არც შემდგომ პერიოდში ყოფილა პატიმრობაში. ციხის ჩანაწერები მიანიშნებდა, რომ იგი არ იმყოფებოდა ჰაზროსა თუ დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში. ის არც კავაკლიბოგანის ჟანდარმერიის განყოფილებაში გადაუყვანიათ.

20. აჰმეტ ჩაკისი იყო ქურთების მუშათა პარტიის სამხედრო წევრი. უშიშროების ძალებსა და ქურთების მუშათა პარტიას შორის 1995 წლის 17-19 თებერვალს მომხდარი შეტაკების შემდეგ იგი 55 სხვა სამხედროსთან ერთად კილიბოგან ჰილში იპოვეს დაღუპული. აჰმედ ჩაკისი მონაწილეობას იღებდა 1993 წლის 23 ოქტომბერს 5 დადელი მასწავლებლის მკვლელობაში, რომელთაც იგი უწოდებდა „სახელმწიფოს მონა ძალებს“. სავარაუდოა, რომ იგი ამ ინციდენტის შემდეგ გაუჩინარდა, რათა დამალვოდა მართლმსაჯულებას და გაეგრძელებინა ქურთების მუშათა პარტიაში თავისი საქმიანობა.

21. განმცხადებლის სავარაუდო გაუჩინარებასთან დაკავშირებით ოჯახის წევრებს ჰაზროს პროკურორისთვის არავითარი საჩივარი არ წარუდგენიათ.

ბ. მასალაში, რომელიც განმცხადებელმა და მთავრობამ წარუდგინეს კომისიას თავიანთი მტკიცებუების დასასაბუთებლად

22. კომისიაში მიმდინარე სამართალწარმოებისას განმცხადებელმა და მთავრობამ წარმოადგინეს განმცხადებლის რამდენიმე ჩვენება, რომლებიც მან მისცა დიარბაკირის ადამიანის უფლებათა ასოციაციას და დიარბაკირის პროკურორს. ადამიანის უფლებათა ასოციაციაში და პროკურატურაში ჩვენება აიღეს, აგრეთვე, რემზი ჩაკისისაგან, აჰმედ ჩაკისის მეუღლისაგან, და მუსტაფა ენგინისაგან, რომელიც 1993 წლის 9 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში იმყოფებოდა პატიმრობაში. მუსტაფა ენგინმა ჩვენება მისცა პოლიციის ოფიცერსაც. ოსმან ბაიდემირმა განმცხადებლის სახელით აიღო ჩვენებები აბდურაჰმან ალისა და ორი თანასოფელისაგან – მეჰმეტ ბითგინისა და ფევზი ოკატანისაგან. აბდურაჰმან ალი პატიმრობაში იმყოფებოდა მუსტაფა ენგინთან ერთად.

23. მთავრობამ ასევე წარმოადგინა დაკავებასთან დაკავშირებით შედგენილი მოხსენება, რომელიც დათარიღებული იყო 1993 წლის 8 ნოემბრით და ეხებოდა მუსტაფა ენგინის, აბდურაჰმან ალისა და თაჰსინ დემირბასის დაპატიმრებას, 1993 წლის 7-8 ნოემბრით დათარიღებული მოხსენებები, რომლებიც ეხებოდა სოფელ ცითლიბაჰცეში ჩატარებულ ოპერაციას, დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა მოწმე ჰიკმეტ აკსოსის (ეს მოწმე კომისიის დელეგატებმა გამოიძახეს ჩვენების ჩამოსართმევად, მაგრამ იგი არ

გამოცხადდა), და დოკუმენტები ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნულ მტკიცებებთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევის შესახებ.

24. კომისიამ გამოითხოვა ციხის ჩანაწერთა ასლები შესაბამის პერიოდისთვის ჰაზროს ჟანდარმერიის განყოფილებიდან, ლიცეს ჟანდარმერიის განყოფილებიდან, დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინიდან და კავაკლიბოგაზის ჟანდარმერიის განყოფილებიდან. ამის შემდეგ კომისიის დელეგატებმა მოითხოვეს, მისცემოდათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ ჰაზროს, დიარბაკირისა და კავაკლიბოგაზის ჩანაწერთა ორიგინალებს. მთავრობამ წარმოადგინა ციხის ჩანაწერების ორიგინალები ჰაზროს ჟანდარმერიის ცენტრალური განყოფილებიდან და ლიცეს ჟანდარმერიის შტაბ-ბინიდან, აგრეთვე, დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში არსებულ ჩანაწერთა ასლები შესაბამისი პერიოდისათვის. მთავრობამ არ წარუდგინა კომისიის დელეგატებს ციხის ჩანაწერების ორიგინალები დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინიდან და არ ანახა ასევე ციხის ჩანაწერების ორიგინალები კავაკლიბოგაზის ჟანდარმერიის განყოფილებიდან.

დ. ქვეყნის ორბანოებში განხორციელებული სამართალწარმოება

25. 1993 წლის 22 დეკემბერს განმცხადებლისა და აჰმეტ ჩაკისის მამამ, ტევეგი ცაკისმა, დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოს წარუდგინეს ხელნაწერი შუამდგომლობა და მოითხოვეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა გადახდა თავს აჰმეტ ცაკისს, რომელიც აყვანილი იქნა პატიმრობაში 1993 წლის 8 ნოემბერს უშიშროების ძალების მიერ მუსტაფა ენგინთან, აბდურაჰმან ალთან და თაჰსინ დემირბაშთან ერთად. ხსენებული სამი პირი 24 დღის შემდეგ გაათავისუფლეს. განმცხადებლის მამას ზეპირად უპასუხეს, რომ აჰმეტ ჩაკისი არ იყო ციხეში მყოფ პირთა სიაში.

26. 1994 წლის 4 აპრილის წერილში ჰაზროს პროკურორმა აიდინ ტეკინმა აცნობა დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოში მყოფ უფროს პროკურორს, რომ ციხის ჩანაწერების განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ აჰმეტ ჩაკისი არ ყოფილა წაყვანილი ციხეში ან აყვანილი პატიმრობაში 1993 წლის 8 ნოემბერს.

27. 1994 წლის 19 აპრილით დათარიღებულ წერილში, რომელიც გაეგზავნა დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოში მყოფ უფროს პროკურორს, ჰაზროს პროკურორმა აიდინ თეკინმა დაადასტურა თავისი 1994 წლის 4 აპრილის წერილი და განაცხადა, რომ აჰმეტ ჩაკისის გაუჩინარების შესახებ მისი ოჯახისაგან არ ყოფილა წარმოდგენილი არავითარი განაცხადი.

28. 1994 წლის 18 აგვისტოს წერილში იუსტიციის სამინისტრომ (საერთაშორისო სამართლისა და საგარეო ურთიერთობათა გენერალურმა დირექტორატმა), მიუთითა რა საგარეო სამინისტროდან 1994 წლის 19 ივლისს მიღებულ კორესპონდენციაზე, რომელშიც აღნიშნული იყო განმცხადებლის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისთვის წარმოდგენილი განაცხადი, მოსთხოვა დიარბაკირის გენერალურ პროკურორს პრეტენზიების გამოძიება და მათი სამართლებრივი შეფასება.

29. 1994 წლის 9 სექტემბერს განმცხადებლის განცხადება წარედგინა დიარბაკირის პროკურორს. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ძმა, აჰმეტ ჩაკისი, ჯარისკაცებმა ციხეში 1993 წლის 8 ნოემბერს წაიყვანეს და რომ იგი ნახეს მუსტაფა ენგინმა და ტაჰსინ დემირბაშმა, რომლებიც ასევე პატიმრობაში იმყოფებოდნენ. 1994 წლის 25 ნოემბერს პროკურორს წარედგინა რეზი ჩაკისის განცხადება. იგი ამტკიცებდა, რომ

ქანდარმებმა მისი ქმარი 1993 წლის 8 ნოემბერს განხორციელებული ოპერაციის დროს წაიყვანეს.

30. 1994 წლის 1 დეკემბერს დიარბაკირის პროვინციის ქანდარმერიის ჯგუფის პოლკოვნიკმა ესრეფ ჰატიპოგლუმ 1994 წლის 22 ნოემბრის საპასუხო წერილით აცნობა დიარბაკირის გენერალურ პროკურორს, რომ ქანდარმერიის ჩანაწერების მიხედვით აჰმეტ ჩაკისი 1994 წლის 8 ნოემბერს არ დაუპატიმრებიათ.

31. 1994 წლის 8 დეკემბრის წერილში პოლკოვნიკმა ესრეფ ჰატიპოგლუმ მოახსენა დიარბაკირის პროვინციის ხელისუფლების ორგანოებს განმცხადებლის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისთვის წარდგენილი განაცხადის შესახებ. წერილში, *inter alia*, ნათქვამი იყო, რომ პოლიციის ოფიცრებმა ვერ იპოვნეს განმცხადებლის, მისი მამის, აჰმეტ ჩაკისის, მუსტაფა ენგინის, აბდურაჰმან ალისა თუ თაჰსინ დემირბაშის მისამართები მათთვის ჩვენებების ჩამორთმევის მიზნით. დადგენილი იქნა, რომ სავარაუდოდ გაუჩინარებული აჰმეტ ჩაკისი ჩაბმული იყო ქურთების მუშათა პარტიის საქმიანობაში და მონაწილეობას იღებდა მკვლევლობებში. აღინიშნა, რომ იგი იყო ქურთების მუშათა პარტიის იმ სამთო რაზმის წევრი, რომელმაც 1993 წლის 23 ოქტომბერს გაიტაცა 7 ადამიანი (5 მასწავლებელი, იმამი და მისი ძმა) სოფელ დადადან და 5 მათგანი მოკლა. აჰმეტ ცაკისს ქურთების მუშათა პარტიის შტაბ-ბინიდანაც ეკებდნენ.

32. 1995 წლის 1 მარტის წერილში პოლკოვნიკმა ესრეფ ჰატიპოგლუმ ჰაზროს რაიონის ქანდარმერიას გაუგზავნა იმ მიდამოში ნაპოვნი დოკუმენტები, რომლებიც კილიბოგანის რეგიონში 1995 წლის 17-19 თებერვალს ჩატარებული ოპერაციის შედეგად მოკლული 56 ტერორისტის გვამებზე აღმოაჩინეს.

33. 1995 წლის 14 მარტის წერილში ჰაზროს პროკურორმა მუსტაფა ტურჰანმა მოითხოვა, რომ ლიცეს პროკურორს გამოეძიებინა, დაპატიმრებული იქნენ თუ არა 1993 წლის 8 ნოემბერს მუსტაფა ენგინი და თაჰსინ დემირბაში. მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ კარგი იქნებოდა, მუსტაფა ენგინს გაეკეთებინა კომენტარები სავარაუდოდ პატიმრობისას გაუჩინარებულ აჰმეტ ცაკისთან დაკავშირებით.

34. 1995 წლის 14 აპრილის წერილში ჰაზროს პროკურორმა მუსტაფა ტურჰანმა კატეგორიულად მოსთხოვა ჰაზროს რაიონის ქანდარმერიის მეთაურს, მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია იმ ოპერაციის შესახებ, რომელიც ჩატარდა ციტლიბაჯცეში 1993 წლის 8 ნოემბერს, და გამოეძიებინა და დაედგინა, იყო თუ არა აჰმეტ ჩაკისი დაპატიმრებული ზემოხსენებულ პირებთან ერთად.

35. 1995 წლის 17 მაისით დათარიღებულ წერილში ჰაზროს რაიონის ქანდარმერიის მეთაურმა ჰაზროს პროკურორს პასუხად აცნობა, რომ 1993 წლის 8 ნოემბრის ოპერაციის მიზანი იყო, შეეპყროთ ქურთების მუშათა პარტიის წევრები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ მათ, და რომ ქანდარმერიის ჩანაწერების თანახმად, აჰმეტ ჩაკისი, მუსტაფა ენგინი აბდურაჰმან ალი და თაჰსინ დემირბაში არ ყოფილან დაპატიმრებულნი.

36. 1995 წლის 22 მაისის წერილში ჰაზროს პროკურორმა კატეგორიულად მოსთხოვა ჰაზროს რაიონის ქანდარმერიის მეთაურს აჰმეტ ჩაკისის ადგილსამყოფელის დადგენა.

37. 1995 წლის 23 ივნისის წერილში ჰაზროს რაიონის ქანდარმერიის უფროსმა ჰაზროს პროკურორს მიუთითა 1995 წლის 22 მაისს პროკურორის მიერ წარმართულ გამოძიებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო აჰმეტ ჩაკისის ადგილსამყოფელის

საკითხთან, და 1995 წლის 1 მარტს დაირბაკირის პროვინციის უანდარმერიის უფროსისგან გამოგზავნილ წერილზე. ამ წერილის თანახმად, აჰმედ ჩაკისი იყო ქურთების მუშათა პარტიის წევრი. კილიბოგან ჰილში 17-19 თებერვალს ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, რომლის დროსაც 56 ტერორისტი იქნა მოკლული, ერთ-ერთი ტერორისტის გვამის შემოწმების შედეგად ამოღებულ დოკუმენტებში აღმოჩენილი იქნა აჰმედ ჩაკისის პირადობის მოწმობა. გაკეთდა დასკვნა, რომ იგი ერთ-ერთი ტერორისტი იყო.

38. 1995 წლის 27 ივნისის წერილში ჰაზროს პროკურორმა აცნობა დიარბაკირის გენერალურ პროკურორს, თავისი 1994 წლის 1 დეკემბრის და იუსტიციის მინისტრის 1994 წლის 18 აგვისტოს წერილებზე მითითებით, რომ 1993 წლის 8 ნოემბერს განხორციელებული ოპერაცია მიმართული იყო ქურთების მუშათა პარტიის წევრებისა და მათი ხელშემწყობი პირების დაკავებისაკენ და რომ აჰმედ ჩაკისი, მუსტაფა ენგინი და ტაჰსინ დემირბაში არ ყოფილან დაპატიმრებულნი, როგორც ეს განაცხადშია მითითებული. 1995 წლის 23 ივნისის წერილზე მითითებით აღინიშნა, რომ აჰმედ ჩაკისი იყო ქურთების მუშათა პარტიის წევრი და დაიღუპა კილიბოგან ჰილის რაიონში 1995 წლის 17-19 თებერვალს ჩატარებული ოპერაციის დროს. ლიცეს პროკურორს ეთხოვა, დაეკითხა მუსტაფა ენგინი, რაც იმ დროისთვის ჯერ არ იყო განხორციელებული.

39. 1995 წლის 4 ივლისის წერილში ჰაზროს პროკურორმა აცნობა იუსტიციის სამინისტროს (საერთაშორისო სამართლისა და საგარეო ურთიერთობათა დირექტორატს) ჰაზროს უანდარმერიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია (იხ. წინამდებარე განაჩენის 37-ე პუნქტი). ამ წერილის თანახმად, წინასწარი გამოძიება აღძრული იქნა და ამ დროისთვისაც მიმდინარეობდა (№1994/191).

40. 1996 წლის 5 მარტით დათარიღებულ წერილში ჰაზროს პროკურორმა აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ, მისი მოთხოვნის თანახმად, დიარბაკირის გენერალურ პროკურორს დაევალა მუსტაფა ენგინისთვის ჩვენების ჩამორთმევა.

41. 1996 წლის 12 მარტს პოლიციის ოფიცერმა ჩამოართვა ჩვენება მუსტაფა ენგინს, რომელმაც განაცხადა, რომ 3 წლის განმავლობაში არ უნახავს აჰმედ ჩაკისი. 1996 წლის 13 მაისს მუსტაფა ენგინს ჩვენება დიარბაკირის პროკურორმა ჩამოართვა. ენგინმა განაცხადა, *inter alia*, რომ არ უნახავს აჰმედ ჩაკისი ციხეში, თუმცა ამ უკანასკნელს შეეძლო დაენახა ის, და აღნიშნა, რომ დიარბაკირის პროვინციის უანდარმერიის შტაბ-ბინაში პატიმრობისას მას ელოქტროშოკით აწამებდნენ.

42. 1996 წლის 13 ივნისს ჰაზროს პროკურორმა მუსტაფა ტურჰანმა გამოიტანა გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული საქმე არ შედიოდა მის იურისდიქციაში და გადასცა იგი რაიონის ადმინისტრაციულ საბჭოს. გადაწყვეტილების თანახმად, რემში ჩაკისი და განმცხადებელი სახელდებოდნენ მომჩივანებად, ხოლო აჰმედ ჩაკისი მსხვერპლად. დანაშაული აღწერილი იყო როგორც არასათანადო მოპყრობა, წამება და პატიმრის ფულის კონფისკაცია, ხოლო მოპასუხეებად სახელდებოდნენ დაუდგენელი პირები ჰაზროს უანდარმერიისა და სოფლის მცველების რიგებიდან. გადაწყვეტილების თანახმად, მომჩივანები აცხადებდნენ, რომ ჰაზროს უანდარმერიის ჯგუფის ჯარისკაცები მივიდნენ ციტლიბაჰცეში 1993 წლის 8 ნოემბერს დილით, დააპატიმრეს მსხვერპლი და წაიყვანეს დიარბაკირში, სადაც აწამეს, ხოლო ლეიტენანტმა წაართვა 4 280 000 თურქული ლირა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მსხვერპლი იყო ტერორისტული ორგანიზაცია ქურთების მუშათა პარტიის წევრი და რომ უშიშროების ძალების მიერ კილიბოგან ჰილში 17-19 თებერვალს ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ერთ-ერთ დაღუპული ტერორისტის გვამზე ნაპოვნი იქნა მსხვერპლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რაც უეჭველად ადასტურებდა აჰმედ ჩაკისის

ვინაობას. მუსტაფა ენგინმა ამ მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არ უნახავს აჰმეტ ჩაკისი. ეჭვიმტანილებზე გავრცელდა „საჯარო მოხელეებთან დაკავშირებული სამართალწარმოების შესახებ“ კანონი და ჰაზროს პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების თავიდან აცილების შემდეგ დოკუმენტაცია გაეგზავნა ჰაზროს რაიონის ადმინისტრაციულ საბჭოს შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ე. კომისიის მიერ მტკიცებულმა შიშის და ფაქტების დადგენა

43. გამომდინარე იქიდან, რომ საქმის ფაქტებთან, განსაკუთრებით კი 1993 წლის ნოემბრის მოვლენებთან, დაკავშირებით წარმოიშვა დავა, კომისიამ მხარეთა დახმარებით ჩაატარა გამოძიება და მოიპოვა დოკუმენტური მტკიცებულებები, მათ შორის წერილობითი განცხადებები და ზეპირი ჩვენებები, რომლებიც ჩამოერთვა 11 მოწმეს: განმცხადებელს; ფევიზი ოკტანს, ციტლიბაჰცეს წინა მუჰტარს; რემზი ცაკისს, აჰმეტ ჩაკისის ცოლს; მუსტაფა ენგინს, რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში 1993 წლის 9 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე; ერტან ატინოღლუს, რომელიც 1993 წლის ნოემბერში იყო ჰაზროს ჟანდარმერიის უფროსი და ხელმძღვანელობდა 1993 წლის 8 ნოემბერს ციტლიბაჰცეში ჩატარებულ ოპერაციას; მეჰმეტ ბიტგინს, სოფელ ციტლიბაჰცეს მკვიდრს; მუსტაფა ტურჰანს, ჰაზროს პროკურორს 1994 წლის ნოემბრიდან, აიტეკინ ტურკერს, ჰაზროს ცენტრალური განყოფილების უფროსს ჰაზროს რაიონის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში 1993 წლის ივლისიდან 1994 წლის აგვისტომდე; აჰმეტ კატმერკაიას, ჟანდარმს, რომელსაც ევალებოდა ციხის ჩანაწერების წარმოება დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში 1992 წლის აგვისტოდან, ქემალ ცავდარს, ჟანდარმს, რომელიც კავაკლიბოგაზის განყოფილებაში 1993 წლის ივლისიდან 1995 წლის აგვისტომდე მსახურობდა, და აბდულაჰ ცებეცს, იმ იმამის ძმას, რომელიც დადადან 5 მასწავლებელთან ერთად იქნა მოტაცებული.

გამოიძახეს კიდევ ექვსი მოწმე, რომლებიც არ გამოცხადდნენ: აიღინ ტეკინი, ჰაზროს პროკურორი 1994 წელს; პოლკოვნიკი ესრეფ ჰატიპოღლუ, დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის უფროსი; ჰიკმეტ აკსოი, რომელმაც, განმცხადებლის მტკიცებით, ნახა მისი ძმა კავაკლიბოგაზში პატიმრობისას; ტეფვიკ ჩაკისი, განმცხადებლისა და აჰმეტ ჩაკისის მამა; ტაჰსინ დემირბაში და აბდურაჰმან ალი, რომლებიც პატიმრობაში იყვნენ დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში 1993 წლის 8 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. აღმოჩნდა, რომ ტეფვიკ ჩაკისი მოსმენამდე გარდაიცვალა. მთავრობა აცხადებდა, რომ ვერ შეძლო, მოეძებნა მოწმე ჰიკმეტ აკსოი 1996 წლის ივლისის მოსმენისათვის, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განმცხადებელმა მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰიკმეტ აკსოი იმყოფებოდა პატიმრობაში კონიას ციხეში. მთავრობა აცხადებდა, რომ ჰიკმეტ აკსოის გადაეცა უწყება 1996 წლის 20 ნოემბრის მოსმენაზე დელეგატების წინაშე გამოძახების შესახებ, მაგრამ მან უარი განაცხადა, ხელმოწერით დაედასტურებინა უწყების მიღება და 1996 წლის 18 ნოემბერს გათავისუფლებული იქნა ციხიდან. მთავრობამ ვერ წარუდგინა კომისიას რაიმე ახსნა-განმარტება აკსოის გათავისუფლების დროსა და მიზეზთან დაკავშირებით. აიღინ ტეკინმა წერილობით აცნობა კომისიას, რომ მას არ გააჩნდა არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი შეხება და ინფორმაცია ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, რის გამოც იგი არ თვლიდა თავს ვალდებულად, დასწრებოდა მოსმენას. 1996 წლის ივლისში გამართულ მოსმენაზე მთავრობის წარმომადგენელმა აუხსნა დელეგატებს, რომ მათ არ შეეძლოთ მოეთხოვათ პროკურორისათვის, დასწრებოდა მოსმენას, არც იმის უფლებამოსილება გააჩნდათ, რომ დაევალებულენით ისეთი მაღალი რანგის ოფიცერი, როგორც ესრეფ ჰატიპოღლუ, დასწრებოდა მოსმენას.

კომისიამ თავის მოხსენებაში დაასკვნა (245-ე პუნქტი), რომ მთავრობამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობდა კონვენციის ყოფილი 28-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტიდან და გულისხმობდა კომისიისათვის ყველა შესაძლო დახმარების აღმოჩენას და ფაქტებთან დაკავშირებით ჭეშმარიტების დადგენას. კომისიამ მიუთითა, რომ

- (i) მთავრობამ არ მისცა კომისიის დელეგატებს შესაძლებლობა, ენახათ ციხის ჩანაწერების ორიგინალები (იხ. წინამდებარე განახენის 24-ე პუნქტი);
- (ii) მთავრობამ ვერ შეძლო ხელი შეეწყო მოწმე ჰიკმეტ აკსოის დასწრებისათვის;
- (iii) მთავრობამ ვერ შეძლო უზრუნველყო მოწმეების – აიდინ ტეკინისა და ასრეფ ჰატიპოგლუს – დასწრება.

44. რაც შეეხება ზეპირ ჩვენებას, კომისიამ კარგად იცოდა, თუ რა სიძნელეებია დაკავშირებული თარგმნილი ზეპირი ჩვენებების შეფასებასთან. ამიტომ კომისიამ დიდი ყურადღება დაუთმო დელეგატების წინაშე წარმოდგენილ მოწმეთა განცხადებების მნიშვნელობას.

იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომლებშიც ფაქტები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და საპირისპიროდ იყო ასახული, კომისიამ გამოხატა წუხილი, რომ არ არსებობდა ჯეროვანი ქვეყნისშიდა სასამართლო გამოძიება. კომისიამ კარგად იცოდა, თუ რა შეზღუდვები შეხვდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით ფაქტების დადგენისას. ენის პრობლემის გარდა, რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული, კომისიას არ გააჩნდა არც რეგიონთან დაკავშირებული გარემოებების დეტალური და უშუალო ცოდნა. უფრო მეტიც, კომისია არ იყო უფლებამოსილი, ეიძულებინა მოწმეები, გამოცხადებულიყვნენ ჩვენების მისაცემად. იმ დროს, როდესაც წინამდებარე საქმეში 17 მოწმე იყო გამოძახებული მოსმენაზე, მხოლოდ 11-მა მისცა ჩვენება. ზემოთ უკვე ვახსენეთ დოკუმენტურ მასალათა უქონლობა. შედეგად კომისია წააწყდა სიძნელეებს ფაქტების დადგენაში, რადგან ვერ მოიძია პოტენციურად მნიშვნელოვანი ჩვენება ან მტკიცებულება.

კომისიამ შემდეგი დასკვნები გამოიტანა:

1. სოფელ ციტლიბაჰცეში 1993 წლის 8 ნოემბერს ჩატარებული ოპერაცია

45. ციტლიბაჰცე მდებარეობდა იმ რაიონში, სადაც 1993 წელს ტერორისტები ძალზე ინტენსიურად მოქმედებდნენ. 1993 წლის 23 ოქტომბერს ქურთების მუშათა პარტიის წევრებმა სოფელ დადადან მოიტაცეს 5 მასწავლებელი, იმამი და იმამის ძმა, აბდულაჰ ცებეცი. ისინი გადაიყვანეს ქვეყნის სხვა ნაწილში. გზად ჩაუარეს სოფელ ბაგლანს. მუსტაფა ენგინს მოსთხოვეს, ერთი ღამით ადრე, სანამ გაუშვებდნენ, შეეფარებინა ერთ-ერთი მასწავლებელი, ეროვნებით ქურთი, ქურთების მუშათა პარტიამ დახოცა დანარჩენი 4 მასწავლებელი და იმამი, აბდულა ცებეცი კი, მიუხედავად ჭრილობებისა, შეძლო გადარჩენა. მან ლიცეს ჟანდარმერიის შტაბ-ბინის თანამშრომელ ჟანდარმებს აღუწერა ის პირები, რომლებიც დაინახა სხენებული მოვლენების დროს, და ასევე ის სოფლები, რომლებსაც საჭმელი მოჰქონდათ და ყარაულობდნენ მოტაცებულებს. სოფელი ბაგლანი შედიოდა ლიცეს იურისდიქციაში. შეპყრობილი პირები ასევე გაატარეს სოფელ ციტლიბაჰცეს სიახლოვეს, რომელიც ბაგლანიდან 1 კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა, მაგრამ შედიოდა ჰაზროს ჟანდარმერიის იურისდიქციაში.

46. ჰაზროსა და ლიცეს ჟანდარმებმა 1993 წლის 8 ნოემბერს განახორციელეს კოორდინირებული ოპერაცია. ამ ოპერაციის მიზანი იყო მოტაცებასთან და მკვლელობასთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა და ინფორმაციის მოპოვება და ამ

დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილი პირების დაკავება. ჰაზროს ჟანდარმთა ჯგუფს მეთაურობდა ერთი ალტინოლუკი. ოპერაციის ჩატარების ბრძანება, რომელიც მან გასცა 1993 წლის 7 ნოემბერს, მიუთითებდა, რომ ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა ქურთების მუშათა პარტიის წევრ ტერორისტთა და მათ თანამზრახველთა შეპყრობა და მათი სამალავების განადგურება. ოპერაციის ჩატარების ადგილად დასახელებული იქნა ციტლიბაჰცე. კომისიამ უარყო ერთი ალტინოლუკის ჩვენება, რომ, როდესაც ციტლიბაჰცესაკენ გაემართა, ჯგუფი არ ეძებდა აჰმეტ ცაკისს. დელეგატების თქმით, ეს მტკიცებულება არც გულწრფელი იყო და არც არანაირი დახმარება გაუწევია. კომისიამ განიხილა ორი სხვა ჟანდარმის ჩვენებაც იმასთან დაკავშირებით, რომ აჰმეტ ჩაკისი უკვე იძებნებოდა ხელისუფლების ორგანოების მიერ, რადგან ამ ოპერაციის ჩატარებამდეც ეჭვიმტანილი იყო ქურთების მუშათა პარტიის წევრობაში, და დაასკვნა, რომ ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ჰაზროს ჟანდარმები ციტლიბაჰცეში იმ მიზნით გაემართნენ, რომ ეპოვნათ და დაეკავებინათ აჰმეტ ჩაკისი მოტაცების ინციდენტთან დაკავშირებით.

47. კომისიის შეფასებით, თანასოფლელი მოწმეების – რემზი ჩაკისის, ფევზი ოკატანის და მეჰმეტ ბიტგინის – ჩვენებები, რომ მათ დაინახეს, თუ როგორ წაიყვანეს ჟანდარმებმა აჰმეტ ჩაკისი სოფლიდან, ძირითადად, თანმიმდევრული, სარწმუნო და დამაჯერებელია. განხილვისას დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მთავრობის პრეტენზია ამ ჩვენების სარწმუნოობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა, რომ, როდესაც ჟანდარმები შევიდნენ ციტლიბაჰცეში 1993 წლის 8 ნოემბერს, აჰმეტ ცაკისმა სცადა მიმალვა, მაგრამ იგი დაიჭირეს და წაიყვანეს სოფლიდან ჰაზროს ჟანდარმერიის ციხეში. ამავე დროს სოფელ ბაგლანში ლიცეს ჟანდარმებმა პატიმრობაში აიყვანეს სამი პირი – მუსტაფა ენგინი, აბდურაჰმან ალი და ტაჰსინ დემირბაში.

2. ჰამეტ ჩაკისის სავარაუდო პატიმრობა და მის მიმართ არასათანადო მოპყრობა

48. მუსტაფა ენგინი, აბდურაჰმან ალი და ტაჰსინ დემირბაში წაიყვანეს და ღამე გაატარებინეს ლიცეს ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში. ციხის სარეგისტრაციო ჟურნალში ისინი არ გაუტარებიათ. მეორე დღეს, 1993 წლის 9 ნოემბერს, ისინი გადაიყვანეს დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში. ციხის ჟურნალის თანახმად, ისინი იმ დღეს იქნენ დაკავებული.

49. ჰაზროს ჟანდარმერიის განყოფილების სარეგისტრაციო ჟურნალში 8 ნოემბერს არ არის შეტანილი აჰმეტ ჩაკისის მონაცემები. მისი მონაცემები არ არის არც 1993 წლის ნოემბრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში. კომისიამ დეტალურად განიხილა ორივე ჟურნალი და ბევრი შეუსაბამობა აღმოაჩინა. კერძოდ, კომისიამ აღმოაჩინა, რომ ჩანაწერები არ იყო თანმიმდევრული და ქრონოლოგიურად უწესრიგო იყო, რომ ყველა ჩანაწერი დიარბაკირის ციხეში ერთი ხელით იყო გაკეთებული და რომ დიარბაკირის ციხის სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებულ დაკავებულ პირთა რაოდენობა აღემატებოდა იმ რაოდენობას, რომელიც შეიძლებოდა საკნებში დატეულიყო. ამან, *inter alia*, წარმოშვა ძლიერი ეჭვი, რომ ჩანაწერები დაკავების დროს არ კეთდებოდა. აჰმეტ კატმერკაიას – დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირის – მიერ მიცემული ზეპირი ახსნა-განმარტება კომისიამ ძალზე არადადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. კომისიამ აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო ჩანაწერების არსებობა ყველა შემთხვევაში არ მიუთითებდა ეჭვიმტანილის ფიზიკურ არსებობაზე და რომ არ ყოფილა გაკეთებული არავითარი ჩანაწერი ციხის შიგნით და გარეთ ეჭვიმტანილთა მოძრაობის ასახვის მიზნით. კომისიამ დაასკვნა, რომ სარეგისტრაციო ჟურნალში არ იყო მოცემული სწორი და ამომწურავი სია იმ პირებისა, რომლებიც შესაძლოა დაპატიმრებულნი ყოფილიყვნენ ამ პერიოდის განმავლობაში და რომ აჰმეტ ჩაკისის გვარის არარსებობა ჰაზროსა და

დიარბაკირის სარეგისტრაციო ჟურნალებში არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ იგი არ ყოფილა დაპატიმრებული.

50. კომისიამ ცნო მუსტაფა ენგინის მიერ მიცემული ზეპირი ჩვენება, რომლის თანახმადაც დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში პატიმრობაში ყოფნისას მუსტაფა ენგინმა ნახა აჰმეტ ჩაკისი, რომელიც მასთან ერთად ერთ ოთახში 16-17 დღის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში, და ესაუბრა მას. კომისიამ ცნო მუსტაფა ენგინის ჩვენება იმასთან დაკავშირებითაც, რომ აჰმეტ ჩაკისი ცუდად გამოიყურებოდა, ტანსაცმელზე სისხლი ჰქონდა შემხმარი და რომ მან მუსტაფა ენგინს უამბო, თუ როგორ სცემეს, გაუტყუეს ნეკნი და თავი და ორჯერ აწამეს ელექტროშოკით. აჰმეტ ჩაკისის დაპატიმრებისა და მის მიმართ არასათანადო მოპყრობის დამადასტურებელი მტკიცებულება აღმოჩნდა აბდურაჰმან ალის წერილობით ჩვენებებში, რომლებიც მან ადამიანის უფლებათა ასოციაციას მისცა.

კომისიამ განიხილა მუსტაფა ენგინის წერილობითი განცხადებები, რომლებზეც მთავრობა აცხადებდა, რომ წინააღმდეგობაში მოდიოდა მის ზეპირ ჩვენებასთან. კომისიამ დაადგინა, რომ პოლიციის ოფიცრის მიერ მუსტაფა ენგინისათვის 1996 წლის 12 მარტს ჩამორთმეული პირველი ჩვენება ძალიან მოკლე და ბუნდოვანი უარყოფა იყო. პროკურორის მიერ 1996 წლის 13 მაისს ჩამორთმეული ჩვენება ასევე მოკლე იყო და შეიცავდა საპირისპირო და ბუნდოვან ფრაზებს. კომისიამ დაასკვნა, რომ ეს განცხადება არ ასახავდა სრულად და აშკარად მუსტაფა ენგინის მიერ მიცემულ ჩვენებას, ვერც დელეგატების მიერ მოპოვებული ჩვენების სარწმუნოებას აქარწყლებდა. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა, რომ აჰმეტ ჩაკისი ციტილიბაჰჯეში დაკავების შემდეგ წაყვანილი იქნა ჰაზროში, სადაც გაატარა 1993 წლის 8 ნოემბრის დამე, და რომ იგი გადაყვანილი იქნა დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში, სადაც იგი ბოლოს ნახა მუსტაფა ენგინმა დაახლოებით 2 დეკემბერს, როდესაც ამ უკანასკნელს ათავისუფლებდნენ.

51. კომისიამ ვერ შეძლო გამოეტანა რაიმე სახის დასკვნა განმცხადებლის მიერ გაკეთებულ მტკიცებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ აჰმეტ ჩაკისი დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინიდან გადაყვანილი იქნა ჰაზროში, ხოლო ჰაზროდან – კავაკლიბოგაზის ჟანდარმერიის განყოფილებაში. ეს მტკიცებები ეფუძნებოდა ჰიკმეტ აქსოის მიერ განმცხადებლისათვის გადმოცემულ ინფორმაციას. ჰიკმეტ აქსოი არ გამოცხადდა დელეგატების წინაშე და არ წარმოადგინა რაიმე სახის წერილობითი განაცხადი. მიუხედავად იმისა, რომ მოიპოვებოდა სხვადასხვა სახის არგუმენტირების ელემენტები, კომისიამ ჩათვალა, რომ მტკიცებულებები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტს.

3. აჰმეტ ჩაკისის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მოხსენება

52. აჰმეტ ჩაკისის ოჯახი არ იყო ინფორმირებული 1995 წლის 17-19 თებერვალს ქურთების მუშათა პარტიასა და უშიშროების ძალებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად აჰმეტ ჩაკისის სავარაუდო გარდაცვალების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პოლკოვნიკ ესრეფ ჰატიპოგლუს ეთხოვა, ხელისუფლების ორგანოებისათვის წარმოედგინა ინფორმაცია აჰმეტ ჩაკისის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, მას არ წარმოუდგენია არანაირი სახის ოფიციალური ანგარიში კალიბოგან ჰილში ერთ-ერთ მოკლულ ტერორისტზე აჰმეტ ჩაკისის პირადობის მოწმობის სავარაუდო პოვნასთან დაკავშირებით. პირადობის მოწმობის პოვნასთან დაკავშირებული პირველი ანგარიში წარმოადგენილი იქნა ჰაზროს ჟანდარმერიის მიერ, რომელმაც გაავრცელა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდა შეტაკება, რასაც თან ერთვოდა გაურკვეველი დოკუმენტაცია პოლკოვნიკ ჰატიპოგლუსაგან. თუმცა კომისიის წინაშე არ ყოფილა

წარმოდგენილი არანაირი სახის დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა გვამის ამოცნობასა თუ დამარხვასთან. კომისიამ ვერ დაადგინა, რომ აჰმეტ ჩაკისი მოკლული იქნა, როგორც ამას ამტკიცებდნენ, ან რომ მისი სხეული იყო იმ გვამებს შორის, რომლებიც ნაპოვნი იქნა კილიბოგან ჰილში.

4. აჰმეტ ჩაკისის სავარაუდო გაუჩინარებასთან დაკავშირებული გამოძიება

53. კომისიამ დაადგინა, რომ განმცხადებელმა და მისმა მამამ თევფიკ ცაკისმა აჰმეტ ჩაკისის გაუჩინარებასთან დაკავშირებით შუამდგომლობებითა და კითხვებით მიმართეს დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოს პროკურორს. ერთადერთი ნაბიჯი, რაც გადაიდგა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, იყო იმის შემოწმება, იყო თუ არა ეროვნული უშიშროების სასამართლოს ჩანაწერებში აჰმეტ ჩაკისის სახელი და გვარი, და კითხვები, რომლებიც გაეგზავნა ჰაზროს პროკურორს, რომელმაც შეამოწმა თავისი ჩანაწერები.

54. მთავრობისათვის განაცხადის გაგზავნის შემდეგ დამატებითი კითხვები გაეგზავნათ დიარბაკირისა და ჰაზროს პროკურორებს. ჩვენებები ჩამოერთვათ მუსტაფა ენგინს, რემზი ცაკისს და განმცხადებელს. ტაჰსინ დემირბაშისა და აბდურაჰმან ალის მისამართები ვერ იქნა აღმოჩენილი. კომისიამ დაადგინა, რომ აჰმეტ ჩაკისის სავარაუდო დაკავებასთან დაკავშირებით ჰაზროს პროკურორმა მოკვლევა აწარმოა ჰაზროს რაიონულ ჟანდარმერიაში, მაგრამ არ გამოკვლეულა ციხის ჩანაწერების ორიგანალები. დიარბაკირის პროკურორს არ ჩაუტარებია არც ციხის ჩანაწერების მოკვლევა. არანაირი სახის ნაბიჯები არ ყოფილა გადადგმული, რათა შემოწმებულიყო ის ინფორმაცია, რომელიც წარმოადგინა ჰაზროს რაიონის ჟანდარმერიამ იმასთან დაკავშირებით, რომ აჰმეტ ჩაკისის გვამი აღმოჩენილი იქნა კილიბოგან ჰილში ნაპოვნი მოკლულ ტერორისტებს შორის.

55. 1996 წლის 13 ივნისს იურისდიქციის არარსებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ჰაზროს პროკურორმა გამოაჩინა მუსტაფა ენგინის, რემზი ჩაკისისა და განმცხადებლისაგან მოპოვებული განცხადებები, ასევე ჰაზროს ჟანდარმერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აჰმეტ ჩაკისის გვამის სავარაუდო აღმოჩენასთან დაკავშირებით. მას ასევე შესაძლოა ჰქონოდა დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებული იყო განმცხადებლის მიერ კომისიისთვის წარდგენილ განაცხადთან, და ციხის ჩანაწერები.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

56. მთავრობას არ წარმოუდგენია თავის მემორანდუმში რაიმე მასალები შიდა კანონმდებლობის იმ სამართლებრივ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებსაც კავშირი აქვს ამ საქმის გარემოებებთან. სასამართლო მიუთითებს ქვეყნის კანონმდებლობის იმ მიმოხილვაზე, რომელიც გამომდინარეობს წინა ინფორმაციიდან სხვა საქმეებზე, კერძოდ, საქმეზე *Kurt v. Turkey* 1998 წლის 25 მაისს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე, 1998-III, გვ. 1169-70, პუნქტები 56-62, და საქმეზე *Tekin v. Turkey* 1998 წლის 9 ივნისს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1998-IV, 1512-13, პუნქტები 25-29.

ა. საბანკეპო მღვრეობა

57. დაახლოებით 1985 წლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში უშიშროების ძალებსა და ქურთების მუშათა პარტიის წევრებს შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა დაიწყო.

ეს კონფრონტაცია, მთავრობის მტკიცებით, საფრთხეს უქმნიდა ათასობით მოქალაქესა და უშიშროების ძალების წევრებს.

58. „საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის“ საფუძველზე (კანონი №2935, 1983 წლის 25 ოქტომბერი) გამოიკა სასხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონთან დაკავშირებული ორი უმთავრესი განკარგულება. პირველი, №285 განკარგულების (1987 წლის 10 ივლისი) თანახმად, თურქეთის სასხრეთ-აღმოსავლეთის 11 პროვინციიდან ათში საგანგებო მდგომარეობის სამართავად შემოღებული იქნა რეგიონული მმართველის ინსტიტუტი. განკარგულების მე-4 მუხლის (ბ) და (დ) პუნქტების შესაბამისად, ყველა კერძო და საჯარო უშიშროების ძალები და სახალხო მშვიდობისათვის შექმნილი ჟანდარმერიის ჯგუფები რეგიონულ მმართველს ექვემდებარებოდა.

59. მეორე, №430 განკარგულების (1990 წლის 16 დეკემბერი) შესაბამისად, კიდევ უფრო გამყარდა რეგიონული მმართველის ძალაუფლება, მაგალითად, მას მიენიჭა რეგიონიდან საჯარო მოხელეთა და სხვა თანამშრომელთა, მათ შორის, მოსამართლეთა და პროკურორთა გადაყვანის შესახებ ბრძანებების გაცემის უფლებამოსილება. მე-8 მუხლის თანახმად:

„არავითარი სახის სისხლისსამართლებრივი, ფინანსური თუ სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება მოეთხოვოს საგანგებო მდგომარეობაში მყოფი რეგიონის მმართველს ან პროვინციის მმართველს საგანგებო მდგომარეობის რეგიონში იმ გადაწყვეტილებებთან თუ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან, და არავითარი განაცხადი არ უნდა იქნეს წარმოდგენილი რომელიმე სასამართლო ხელისუფლების ორგანოს წინაშე ამასთან დაკავშირებით. ხსენებული დებულება ხელს არ უშლის პირის უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კომპენსაცია გაუმართლებლად მიყენებული ზიანისათვის.“

ბ. კონსტიტუციის დებულებები აღმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით

60. თურქეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების თანახმად:

„აღმინისტრაციის ყველა ქმედება ან გადაწყვეტილება ექვემდებარება სასამართლო გადასინჯვას...

...

აღმინისტრაცია პასუხისმგებელი უნდა იყოს კომპენსაციის გაცემაზე იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეული იქნა მისი ქმედებებითა და ღონისძიებებით.“

61. ეს დებულება არ ექვემდებარება არანაირი სახის შეზღუდვას საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის შემთხვევაშიც კი. დებულების უკანასკნელი მოთხოვნა აუცილებლად არ მოითხოვს რაიმე ბრალის არსებობის დამამტკიცებელ საბუთს აღმინისტრაციასთან მიმართებაში, რომლის პასუხისმგებლობა აბსოლუტური, ობიექტური ხასიათისაა და ეფუძნება „სოციალური რისკის“ თეორიას. აქედან გამომდინარე, აღმინისტრაციას შეუძლია, კომპენსაცია გადაუხადოს იმ ადამიანებს, რომლებსაც მიაღვათ ზიანი უცნობი თუ ტერორისტი პირების მიერ ჩადენილი ქმედებების შედეგად, როდესაც შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება – მართლწესრიგისა და საზოგადო უსაფრთხოების, ადამიანთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა.

62. ადმინისტრაციის წინააღმდეგ სამართალწარმოების აღდგრა შეიძლება ადმინისტრაციულ სასამართლოებში. ამ სასამართლოებში სამართალწარმოება წერილობითი ფორმით მიმდინარეობს.

ბ. სისხლის სამართლის კოდექსი და საპროცესო კანონმდებლობა

63. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსი სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს:

- ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას (179-ე მუხლი ზოგადად, 181-ე მუხლი საჯარო მოხელეებთან მიმართებაში);
- მუქარას (191-ე მუხლი);
- ადამიანის წამებას ან მის მიმართ არასათანადოდ მოპყრობას (243-ე და 245-ე მუხლები);
- განუზრახველ მკვლელობას (452-ე, 459-ე მუხლები), განზრახ მკვლელობას (448-ე მუხლი) და მკვლელობას (450-ე მუხლი).

64. ყველა ამ დანაშაულთან დაკავშირებით საჩივრის შეტანა შესაძლებელია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე და 153-ე მუხლების შესაბამისად, პროკურორისა თუ ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების წინაშე. პროკურორი, რომელსაც ყველა შემთხვევაში ეცნობება იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც წარმოშობს ეჭვს, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი, ვალდებულია, გამოიძიოს ფაქტები, რათა გადაწყვიტოს, აღძრას თუ არა გამოძიება (153-ე მუხლი). საჩივრის წარდგენა შესაძლებელია წერილობითი თუ ზეპირი ფორმით. მომჩივანს შეუძლია გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება, რომლითაც იგი უარს ამბობს სისხლის სამართალწარმოების აღძვრაზე.

დ. სამოქალაქო სამართლის დებულებები

65. საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ნებისმიერი უკანონო აქტი, იქნება ეს დანაშაული თუ წამება, რომელიც იწვევს მატერიალურ თუ მორალურ ზიანს, შესაძლებელია გასაჩივრდეს კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით ჩვეულებრივ სამოქალაქო სასამართლოებს. ვალდებულებათა კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულ პირს შეუძლია შეიტანოს საჩივარი კომპენსაციისათვის სავარაუდო დამნაშავის წინააღმდეგ, რომელმაც მას მიაყენა ზიანი უკანონო – განზრახული, უნებლიე თუ გაუფრთხილებელი – მოქმედებით. მატერიალური ზარალი შესაძლოა ანაზღაურდეს სამოქალაქო სასამართლოების მიერ ვალდებულებათა კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო არამატერიალური ან მორალური ზიანისათვის ანაზღაურება ხდება 47-ე მუხლის შესაბამისად.

ე. №285 განკარგულების ზეპავეზა

66. სავარაუდო ტერორისტული დანაშაულების შემთხვევაში პროკურორს ჩამორთმეული აქვს იურისდიქცია ეროვნული უშიშროების ცალკეული სისტემების პროკურორებისა და თურქეთში შექმნილი სასამართლოების სასარგებლოდ.

67. პროკურორს ასევე ჩამორთმეული აქვს იურისდიქცია იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილია უშიშროების ძალების წინააღმდეგ იმ რეგიონში, რომელშიც მოქმედებს საგანგებო სიტუაცია. №285 განკარგულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეგიონული მმართველის მეთაურობის ქვეშ მყოფი უშიშროების ძალები (იხ. წინამდებარე განაჩენის 58-ე პუნქტი) მათი მოვალეობის

შესრულებისას განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებაში უნდა დაექვემდებარონ 1914 წლის კანონს „საჯარო მოხელეებზე განხორციელებული გამოძიების შესახებ“. ამგვარად, ნებისმიერმა პროკურორმა, რომელიც იღებს საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა უშიშროების ძალების წარმომადგენელმა, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იურისდიქციის უქონლობასთან დაკავშირებით და საქმე განსახილველად გადასცეს ადმინისტრაციულ საბჭოს. ეს საბჭოები დაკომპლექტებულია საჯარო მოხელეებისაგან, რომელთაც თავმჯდომარეობს მმართველი. საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გამოძიების აღუძვრელობის შესახებ ექვემდებარება გასაჩივრებას უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. თუკი გამოტანილი იქნება გამოძიების აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება, პროკურორს ევალება საქმის გამოძიება.

კომისიაში განხორციელებული სამართალწარმოება

68. ბ-ნმა იზეტ ცაკისმა კომისიას მიმართა 1994 წლის 2 მაისს. იგი ამტკიცებდა, რომ მისი ძმა აჰმეტ ჩაკისი დაპატიმრებული იქნა უშიშროების ძალების მიერ და მას შემდეგ გაუჩინარდა და რომ ეს მოვლენები სათანადოდ არ გამოძიებულა ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ. განმცხადებელმა მოიშველია კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლები.

69. 1995 წლის 15 მაისს კომისიამ განაცხადი (№23657/94) არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა. 1998 წლის 12 მარტის მოხსენებაში (კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლი) კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ განმცხადებლის ძმის გაუჩინარებასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა მე-2 მუხლის დარღვევას (ერთხმად); რომ განმცხადებლის ძმის მიმართ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევას (ერთხმად); რომ განმცხადებლის ძმის გაუჩინარებასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის დარღვევას (ერთხმად); რომ განმცხადებლის მიმართ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევას (27 ხმა სამის წინააღმდეგ); რომ ადგილი ჰქონდა მე-13 მუხლის დარღვევას (ერთხმად); რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 და მე-18 მუხლების დარღვევას (ერთხმად). კომისიის მოსაზრება და მასში ასახული განსხვავებული აზრი თან ერთვის განაჩენს.

სასამართლოსთვის წარღბენილი საბოლოო არბუმენტაცია

70. წარმოდგენილ მემორანდუმში განმცხადებელმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, დაედგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლები და არ შეასრულა თავისი ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობდა ადრე მოქმედი 28-ე მუხლის 1-ლი (ა) ქვეპუნქტიდან. განმცხადებელმა სთხოვა სასამართლოს მისთვის და მისი ძმის ცოლისა და მემკვიდრეებისათვის სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება 41-ე მუხლის საფუძველზე.

71. მთავრობამ, თავის მხრივ, თხოვნით მიმართა სასამართლოს, უარი ეთქვა საქმის განხილვაზე და გამოეცხადებინა იგი არსებით განხილვაზე დაუშვებლად იმ მოტივით, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის საჩივრები არ იყო მტკიცებულებებით დასაბუთებული.

სამართალი

I. სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება

72. სასამართლო კიდევ ერთხელ იხსენიებს თავის დადგენილ პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმადაც, კონვენციის სისტემის შესაბამისად, 1998 წლის 1 ნოემბრამდე ფაქტების დადგენა და შემოწმება უპირველეს ყოვლისა კომისიის მოვალეობას წარმოადგენდა (ყოფილი 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 31-ე მუხლი). მართალია, სასამართლო არ არის შეზღუდული კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნით და თავად შეუძლია ფაქტების შეფასება მისთვის წარდგენილი მასალების საფუძველზე, მაგრამ ის მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში ახორციელებს ამ სფეროში თავის უფლებამოსილებას (სხვა მაგალითებს შორის იხ. საქმეზე *Akdivar and Others v. Turkey* 1996 წლის 16 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე 1996-IV, გვ. 1214, პუნქტი 78).

73. მთავრობამ წარმოდგენილ მემორანდუმსა და ზეპირ კომენტარებში განაცხადა, რომ კომისიის მიერ ფაქტების შეფასება არასწორი იყო, რადგანაც, *inter alia*, მან არ გაითვალისწინა განმცხადებლის, რემზი ჩაკისისა და მუსტაფა ენგინის მიერ მიცემულ ჩვენებებში არსებული გარკვეული წინააღმდეგობები და სუსტი ადგილები, ამასთან, მხედველობაში მიიღო შეუსაბამო მოვლენები, როგორც არის სავარაუდო ხარვეზი ციხის ჩანაწერებში. მთავრობამ სასამართლოს მოუწოდა, გადაესინჯა კომისიის მიერ აღმოჩენილი ფაქტები.

74. სასამართლო იხსენიებს, რომ წინამდებარე საქმეში კომისია თავის დასკვნამდე მივიდა მას შემდეგ, რაც მოისმინა ჩვენებები ანკარასა და სტრასბურგში (იხ. წინამდებარე განაჩენის 43-ე პუნქტი). სასამართლო ადგენს, რომ თავის ამოცანას, რომელიც გულისხმობდა მტკიცებულებათა შეფასებას, კომისია სიფრთხილით მოეკიდა და დეტალურად განიხილა ის ელემენტებიც, რომლებიც ამტკიცებდა განმცხადებლის პოზიციას, და ისინიც, რომლებიც ეჭვს იწვევდა. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღებით განიხილა მუსტაფა ენგინისა და ერტან ალტინოღლუკის (ჟანდარმერიის ოფიცრის, რომელმაც წარმართა ოპერაცია სოფელ ციტლიბაჰცეში) ჩვენებები.

75. სასამართლოს აზრით, მთავრობის მიერ გამოთქმული კრიტიკა არ ამჟღავნებს არც ერთ არსებით მოვლენას, რომელსაც შეუძლია გაამართლოს სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება და ფაქტების შემოწმება. ამ გარემოებებში სასამართლო დებულობს კომისიის მიერ დადგენილ ფაქტებს.

76. გარდა იმ სიძნელებისა, რომლებიც გარდაუვალია ზოგადად ფაქტების დადგენისას, კომისიამ ვერ შეძლო მოეპოვებინა გარკვეული დოკუმენტური მტკიცებულებები და ჩვენებები, რომლებსაც იგი მიიჩნევდა არსებითად თავის ფუნქციათა განსახორციელებლად. კომისიამ დაადგინა, რომ მთავრობამ არ მისცა კომისიის დელეგატებს შესაძლებლობა, შეემოწმებინათ ციხის ჩანაწერების ორიგინალები, ხელი არ შეუწყო მოწმის, ჰიკმეტ აკსოის, გამოცხადებას და არ უზრუნველყო სახელმწიფო მოხელეების – აიდინ ტეკინის (პროკურორის) და პოლკოვნიკ ესრეფ ჰატიპოგლუს (ჟანდარმერიის ოფიცრის) – გამოცხადება კომისიის დელეგატების წინაშე (იხ. წინამდებარე განაჩენის 43-ე პუნქტი).

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის ადრე მოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად (ამჟამად ეს მუხლი ჩანაცვლებულია 34-ე მუხლით) შეტანილი ინდივიდუალური განაცხადების სისტემის ეფექტიანი მოქმედებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

არა მხოლოდ იმას, რომ განმცხადებლებს ან პოტენციურ განმცხადებლებს შეუძლიათ თავისუფლად დაუკავშირდნენ კონვენციის ორგანოებს ხელისუფლებისაგან რაიმე ზეწოლის გარეშე, არამედ იმასაც, რომ სახელმწიფომ შექმნას ყველა საჭირო პირობა განაცხადთა სათანადო და ეფექტიანი განხილვის უზრუნველსაყოფად (იხ. კონვენციის ადრე მოქმედი 28-ე მუხლის 1 (ა) პუნქტი, რომელიც ეხებოდა კომისიის პასუხისმგებლობას ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით; ამჟამად ეს მუხლი ჩანაცვლებულია 38-ე მუხლით იმ ნაწილში, რომელიც ეხება სასამართლო პროცედურას). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა საკმარისი ახსნა-განმარტება ციხის ჩანაწერებთან დაკავშირებით და ადგენს, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება მოწმეებთან დაკავშირებით არადაამაკმაყოფილებელი და არასარწმუნოა. შესაბამისად, სასამართლო ადასტურებს დასკვნას, რომელიც გამოიტანა კომისიამ თავის მოხსენებაში. ამ დასკვნის თანახმად, მთავრობამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებები ყოფილი 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. ეს ვალდებულებები გულისხმობს კომისიისათვის ყველა შესაძლო ხერხით ხელის შეწყობას მისი ამოცანის – ფაქტების დადგენის – განხორციელებაში.

II. მთავრობის მიერ წარმოდგენილი წინასწარი პრეტენზია

77. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის 35-ე მუხლი: მას სათანადოდ არ გამოუყენებია გამოსწორების საშუალებები სისხლის სამართალწარმოების აღძვრის პროცედურის მეშვეობით, არ შეუტანია საჩივარი სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ სასამართლოებში. მთავრობა დაეყრდნო აიტეკინის საქმეზე გამოტანილ განაჩენს (საქმეზე *Aytekin v. Turkey* 1998 წლის 23 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1998-VII), რომელიც ადგენდა, რომ თურქეთის ხელისუფლების ორგანოები არ ყოფილან წინააღმდეგი, აღეძრათ სამართალწარმოება უშიშროების ძალების წარმომადგენელთა წინააღმდეგ და რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული დაცვის საშუალებები ეფექტიანი იყო.

კერძოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ მიუმართავს საჩივრით პროკურორისათვის, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებდა, მისი ძმის სავარაუდო გაუჩინარებასთან დაკავშირებით, რადგან 1993 წლის 22 დეკემბრის საჩივარს არ გააჩნდა ადრესატი, ისევე, როგორც მიღების ბეჭედი ან რეგისტრაცია, რომელიც მიუთითებდა, რომ იგი ჩაბარდა პროკურატურას.

78. მოსმენაზე განმცხადებლის ადვოკატმა განაცხადა, რომ განმცხადებლის მამამ შეიტანა საჩივარი დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოს პროკურატურაში და რომ არ არსებობდა ასეთ საჩივართა რეგისტრირების რეგულარული პრაქტიკა. გარდა ამისა, საჩივარი ნათლად აყალიბებდა განმცხადებლის პრეტენზიას, რომ მისი ძმა აყვანილი იქნა უშიშროების ძალების მიერ, და ასახელებდა ამ ფაქტთან დაკავშირებით იმ სამი მოწმის ვინაობას, რომლებსაც შეეძლოთ ფაქტის დადასტურება.

79. კომისიამ უარყო მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არსებით განხილვაზე დაშვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში და დაადგინა, რომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ განმცხადებელმა თავისი საჩივრები წარუდგინა შესაბამის და კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც თურქეთის კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულნი იყვნენ, გამოეძიათ საქმის გარემოებები, რის შემდეგაც განმცხადებელს აღარ მოეთხოვებოდა, მიემართა რაიმე სხვა სამართლებრივი საშუალებისათვის.

80. სასამართლო აღნიშნავს, რომ, კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებელმა და მისმა მამამ აჰმეტ ჩაკისის გაუჩინარებასთან დაკავშირებით საჩივრითა და კითხვებით მიმართეს ეროვნული უშიშროების სასამართლოს პროკურორს. სასამართლოს აკმაყოფილებს ის ფაქტიც, რომ მათი პრეტენზიები ცნობილი იყო პროკურორებისათვის როგორც დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოში, ასევე ჰაზროში, რადგან აშკარაა, რომ პირველმა მეორეს მიმართა კითხვებით, როგორც ეს ნათლად ჩანს 1994 წლის 4 და 19 აპრილით დათარიღებული წერილებიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის 26-ე და 27-ე პუნქტები). თუმცა ხელისუფლების ორგანოების რეაქცია დანაშაულის ჩადენის სერიოზულ ვარაუდთან დაკავშირებით ინერტული იყო. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პროკურორისათვის 1994 წლის 9 სექტემბერს წარდგენილ განაცხადში განმცხადებელი იმეორებდა თავის პრეტენზიებს, რომლებიც დადასტურებული იქნა რემზი ჩაკისის მიერ 1994 წლის 12 ნოემბერს, პროკურორებს არ გაუტარებიათ არავითარი ღონისძიება გარდა ჰაზროსა და დიარბაკირის ციხის ჩანაწერებში შესაძლო რეგისტრირების მოკვლევისა და მუსტაფა ენგინისაგან ორი მოკლე და ბუნდოვანი ჩვენების მიღებისა. მოგვიანებით, 1995 წელს, არ ყოფილა გადადგმული არანაირი ნაბიჯი იმისათვის, რომ შემოწმებულიყო ანგარიში აჰმეტ ჩაკისის გვამის პოვნასთან დაკავშირებით ან მოპოვებულიყო ამოცნობის დოკუმენტური დადასტურება გვამის ექსპერტიზისა და დასაფლავების ჩანაწერთა ასლების გამოთხოვნით. სავარაუდო გაუჩინარებასთან დაკავშირებით ქმედითი გამოძიების არარსებობისა და იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ხელისუფლების ორგანოები მუდმივად უარყოფდნენ აჰმეტ ჩაკისის ციხეში ყოფნას, სასამართლო აღგენს, რომ არ არსებობდა იმის საფუძველი, რომ განმცხადებელს მიემართა მთავრობის მიერ მოხსენიებული სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საშუალებებისათვის და უნდა ჩაითვალოს, რომ განმცხადებელმა გააკეთა ყველაფერი, რაც მას მოეთხოვებოდა გონივრულობის ფარგლებში მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის თვალსაზრისით (იხ. საქმეზე *Kurt v. Turkey* 1998 წლის 25 მაისის განაჩენი, მოხსენებები 1998-III, გვ. 1175-77, პუნქტები 79-83).

შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის მიერ წარმოდგენილ წინასწარ პრეტენზიას.

III. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

81. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ძმა დააკავეს (და ეს ფაქტი არ იქნა აღიარებული) და ამის შემდეგ იგი გაუჩინარდა ისეთ გარემოებებში, რომლებიც წარმოშობენ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას. ამ დებულების თანახმად:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ადამიანის მსჯავრდების შემდეგ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისას.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, როდესაც იგი შედეგია ძალის გამოყენებისა, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია:

- ა) ნებისმიერი ადამიანის დასაცავად უკანონო ძალადობისაგან;
- ბ) კანონიერი დაპატიმრების განსახორციელებლად ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად;
- გ) აჯანყების ან ამბოხების ჩახშობის მიზნით კანონიერად განხორციელებული ქმედების პროცესში.“

ა. სასამართლოში გამოცხადებულ პირთა არბუმენტაცია

1. განმცხადებელი

82. განმცხადებელმა მიუთითა კომისიის მიერ გამოტანილ დასკვნაზე, რომლის თანახმადაც მის ძმას, აჰმეტ ცაკისს, პატიმრობისას (რომელიც არ იქნა აღიარებული) არასათანადოდ ეპყრობოდნენ, ხოლო ხელისუფლების ორგანოები აცხადებდნენ, რომ იგი გარდაიცვალა, რაც წარმოშობდა ძლიერ ალბათობას, რომ მისი ძმა გარდაიცვალა გარემოებებში, რომლებზე პასუხისმგებლობაც ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დაკავებულ პირებთან მიმართებაში მთავრობა იღებდა საგანგებო ვალდებულებას, პასუხი ეგო დაკავებულ პირზე და უზრუნველყო მისი სიცოცხლე. გარდა ამისა, მთავრობას ეკისრებოდა ვალდებულება, საეჭვო სიკვდილის დადგენის შემთხვევაში წარემართა სათანადო და ეფექტიანი გამოძიება. წინამდებარე საქმეში პროკურორმა არ გადადგა არანაირი ნაბიჯი იმისთვისაც კი, რომ გამოეძია ინფორმაცია აჰმეტ ჩაკისის გვამის პოვნის შესახებ. პროკურორები სისტემატურად არ ასრულებდნენ კონვენციიდან გამომდინარე თავიანთ ვალდებულებებს.

2. მთავრობა

83. მთავრობამ, დაეყრდნო რა ქურთის (ზემოხსენებულ საქმეზე *Kurt v. Turkey* გამოტანილი განაჩენი გვ. 1182, პუნქტი 107) საქმეზე გამოტანილ განაჩენს, განაცხადა, რომ წინამდებარე საქმეში არ შეიძლებოდა მე-2 მუხლის მოხმობა. ამ საქმეში არ მოიპოვებოდა კონკრეტული მინიშნებები იმისა, რომ განმცხადებლის შვილი პატიმრობისას დაიღუპა. მე-2 მუხლის გამოყენების სადემონსტრაციოდ ისეთ გარემოებებში, როდესაც დგინდება, რომ ადამიანის სიკვდილი უშიშროების ძალების მიხეზით არის გამოწვეული, მთავრობამ მიუთითა მაქქენის-ის საქმეზე (საქმეზე *McCann and Others v. the United Kingdom* 1995 წლის 27 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №324) და განაცხადა, რომ ამ საქმეში ასე არ მომხდარა. მთავრობამ ხელახლა გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ დასკვნის გამოტანა მოხდა აჰმეტ ჩაკისის სავარაუდო პატიმრობასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით განმცხადებლისა და მუსტაფა ენგინის მიერ მიცემულ შეუსაბამო ჩვენებებზე დაყრდნობით.

3. კომისია

84. კომისიის აზრით, ამ საქმის გარემოებებში არსებობდა ძალზე დიდი ალბათობა იმისა, რომ აჰმეტ ჩაკისი აღარ ყოფილიყო ცოცხალი, რაც, გამომდინარე არაღიარებული პატიმრობიდან და არასათანადო მოპყრობის დასკვნიდან, წარმოშობდა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს, რადგან ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება მე-2 მუხლის საფუძველზე.

ბ. სასამართლოს მიერ ბანხორციელებული შეფასება

85. სასამართლომ მიიღო საქმეში კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები, სახელდობრ ის, რომ აჰმეტ ჩაკისი იყო არაღიარებული პატიმრობისა და სერიოზული არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. როგორც კომისიამ აღნიშნა, ძალზე ძლიერი მინიშნებები შეიძლება გამომდინარეობდეს ხელისუფლების ორგანოთა განცხადებიდან, რომ აჰმეტ ჩაკისის პირადობის მოწმობა გარდაცვლილი ტერორისტის გვამზე იქნა აღმოჩენილი. ამის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული საკმარისი გარემოებითი მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია უდავოდ დავასკვნათ, რომ აჰმეტ ჩაკისი გარდაიცვალა უშიშროების

ძალების მიერ მისი დაკავებისა და დაპატიმრების შემდეგ. ამიტომ ეს საქმე უნდა განფასდეს ქურთის საქმისაგან (ქურთის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, გვ. 1182, პუნქტი 107-108), რომელშიც სასამართლომ განმცხადებლის საჩივარი შვილის გაუჩინარებასთან დაკავშირებით მე-5 მუხლის ჭრილში განიხილა. ქურთის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის შვილი დაპატიმრებული იქნა, არ არსებობდა არავითარი სხვა მტკიცებულება მის მიმართ მოპყრობასთან ანდა მის შემდგომ ბედთან დაკავშირებით.

86. სასამართლო კვლავ ადასტურებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას, წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას და მე-3 მუხლთან ერთად ასახავს ევროპის საბჭოს საფუძვლის – დემოკრატიული საზოგადოებების – ძირითად ღირებულებას (იხ. საქმეზე *McCann and Others v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, გვ. 45-46, პუნქტები 146-147). დაკისრებული ვალდებულება არ ეხება მხოლოდ განზრახ მკვლელობას სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ძალის გამოყენების შედეგად: მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი სახელმწიფოზე აწესებს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ სიცოცხლის უფლება კანონით იყოს დაცული. ეს გულისხმობს, რომ ძალის გამოყენების შედეგად ადამიანის მოკვლის შემთხვევაში უნდა წარმართოს გარკვეული სახის ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება (სხვადასხვა მაგალითებს შორის იხ. საქმეზე *Yaşa v. Turkey* 1998 წლის 2 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1998-VI, გვ. 2438, პუნქტი 98).

87. ვინაიდან აჰმეტ ჩაკისი უნდა ჩაითვალოს გარდაცვლილად უშიშროების ძალების მიერ არადიარებული დაპატიმრების შემდეგ, სასამართლო ადგენს, რომ პასუხისმგებლობა მისი გარდაცვალებისათვის მოპასუხე სახელმწიფოს ეკისრება. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი სახის ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა აჰმეტ ჩაკისის დაკავების შემდეგ. გარდა ამისა, მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი არგუმენტაცია, რომელიც გაამართლებდა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან მომაკვდინებელი ძალის გამოყენებას. შედეგად, პასუხისმგებლობა აჰმეტ ჩაკისის სიკვდილზე ეკისრება მოპასუხე სახელმწიფოს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ადგილი ჰქონდა მე-2 მუხლის დარღვევას.

ამას გარდა, გაითვალისწინა რა, რომ არ არსებობდა ქმედითი პროცედურული გარანტიები, რაც გამოიხატა გაუჩინარებასთან და აჰმეტ ჩაკისის გვამის სავარაუდო პოვნასთან დაკავშირებით წარმართულ არაადეკვატურ გამოძიებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-80 და 105-107 პუნქტები), სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა სიცოცხლის უფლება. შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი ამ თვალსაზრისითაც დაირღვა.

IV. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

ა. განმცხადებლის ძმასთან, აჰმეთ ცაპისთან, მიმართებაში

88. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ძმა იყო მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლი. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს“;

89. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ჰაზროსა და დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში პატიმრობისას მისი ძმა დაექვემდებარა სერიოზული სახის

არასათანადო მოპყრობას, რომელიც წამებას უტოლდებოდა. მას, *inter alia*, სცემდნენ და აწამებდნენ ელექტროშოკით. გარდა ამისა, საქმეზე *Assenov and Others v. Bulgaria* (1998 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი, მოხსენებები 1998-VIII, გვ. 3179, პუნქტი 102) დაყრდნობით განმცხადებელი აცხადებდა, რომ მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აჰმეტ ჩაკისის პატიმრობასთან დაკავშირებით არ წარმართულა ეფექტიანი გამოძიება.

90. ამ ასპექტთან დაკავშირებით მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შემოიფარგლა კომისიის მხრიდან ფაქტების შეფასების კრიტიკით და იმის აღნიშვნით, რომ კომისიამ არ გამოიყენა კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის განმარტების მკაცრი სტანდარტი.

91. კომისიამ ჩათვალა, რომ მუსტაფა ენგინის (რომელიც აჰმეტ ჩაკისის წამების შედეგების თვითმხილველი იყო და რომელსაც აჰმეტ ცაკისმა უამბო, რომ იგი სცემეს და მის მიმართ ელექტროშოკი გამოიყენეს) ჩვენება ქმნიდა საკმარის საფუძველს, რათა გამოტანილიყო დასკვნა აჰმეტ ჩაკისის წამებასთან დაკავშირებით. კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ არაღიარებული პატიმრობისა და გაუჩინარების შემთხვევებში დამოუკიდებელი, ობიექტური სამედიცინო მტკიცებულება თუ თვითმხილველი მოწმის ჩვენება არ იყო აუცილებელი და რომ ამის მოთხოვნა მე-3 მუხლის დარღვევის დადგენისათვის უგულვებლყოფდა ამ დებულების საფუძველზე უზრუნველყოფილ დაცვას.

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ მუსტაფა ენგინის მიერ დელეგატებისათვის წარდგენილი მტკიცებულება შეფასებული იქნა, როგორც სარწმუნო. ეს მოწმე 16-17 დღის განმავლობაში ჰყავდათ იმავე ოთახში, რომელშიც აჰმეტ ჩაკისი იყო მოთავსებული, და მას გააჩნდა შესაძლებლობა, ეხილა აჰმეტ ჩაკისი და ესაუბრა მასთან. მუსტაფა ენგინის ჩვენების თანახმად (იხ. წინამდებარე განაჩენის 50-ე პუნქტი), მან დაინახა შემხმარი სისხლი აჰმეტ ჩაკისის ტანსაცმელზე და ისიც შენიშნა, რომ აჰმეტ ჩაკისი ძალიან ცუდ ფიზიკურ მდგომარეობაში იყო. აჰმეტ ცაკისმა უამბო მას, თუ როგორ სცემეს და გაუტეხეს ერთი ნეკნი და თავი. აჰმეტ ჩაკისი გაიყვანეს იმ ოთახიდან, რომელშიც ერთად იყვნენ. დაბრუნებისას მან მუსტაფა ენგინს აცნობა, რომ ორჯერ აწამეს ელექტროშოკით, რასაც, მუსტაფა ენგინის თქმით, დაკითხვისას თვითონაც დაექვემდებარა.

სასამართლო იზიარებს კომისიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ჩვენება საკმარისია, რათა დამაჯერებლობის მოთხოვნილი დონით, ე.ი. გონივრულ ეჭვს მიღმა, დადგინდეს, რომ აჰმეტ ჩაკისი პატიმრობის განმავლობაში აწამეს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის ძმასთან, აჰმეტ ცაკისთან მიმართებაში.

93. სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, გამოიტანოს განსხვავებული დასკვნა მე-3 მუხლთან დაკავშირებით გამოძიების სავარაუდო ხარვეზებთან მიმართებაში, ვინაიდან იგი ამ ასპექტს განიხილავს ქვემოთ, კონვენციის მე-13 მუხლის ჭრილში.

ბ. განმცხადებელთან მიმართებაში

94. დაყრდნო რა, *inter alia*, სასამართლოს მიერ ქურთის საქმეზე გამოტანილ განაჩენს (საქმეზე *Kurt v. Turkey* გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, გვ. 1187-88, პუნქტები 130-134), განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი ძმის გაუჩინარება წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას მასთან და მისი ოჯახის სხვა წევრებთან (მათ შორის, აჰმეტ ჩაკისის მეუღლესთან, რემზისთან, და მათ შვილებთან მიმართებაში. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს არ უპასუხიათ მის მიერ დასმულ

შეკითხვებზე, და მიუთითა აჰმეტ ჩაკისის ბედთან დაკავშირებით გაურკვევლობის პერიოდის ხანგრძლივობაზე, რაც ოჯახს უსაფუძვლო იმედს უსახავდა და არ აძლევდა გლოვის საშუალებას.

95. მთავრობა არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ განმცხადებელს შეეძლო წამოეყენებინა პრეტენზია, ეცნოთ არაპირდაპირ მსხვერპლად მისი ძმის მიმართ დარღვეულ უფლებათა გამო. მთავრობის მტკიცებით, ნებისმიერ შემთხვევაში, ურთიერთობა ძმებს შორის არ იყო ძალიან ახლო და განაცხადის ეს მხარე დეტალურად არ შესწავლილა, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების გამოსატანად.

96. კომისიის უმრავლესობამ, გაითვალისწინა რა გაურკვევლობის გრძელი პერიოდი, ეჭვი და ცუდი წინათგრძნობა, რომლებიც განიცადა განმცხადებელმა, ასევე ის ფაქტი, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა დაედგინათ, თუ რა შეემთხვა აჰმეტ ჩაკისს, დაადგინა, რომ განმცხადებელს შეეძლო ჰქონოდა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. კომისიის უმცირესობამ ჩათვალა, რომ იმ ემოციურ სტრესს, რომელიც განიცადა განმცხადებელმა, არ შეუძლია წამოჭრას ცალკე საკითხი, რადგან სხვაგვარად „მსხვერპლის“ ცნება დაუშვებლად გაფართოვდებოდა და მოიცავდა იმ პირთა წრეს, რომლებზეც კონვენციის დარღვევა არაპირდაპირ ახდენს ზეგავლენას.

97. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი კომისიაში მხოლოდ განმცხადებელთან მიმართებაში იყო განხილული. კომისიის მიერ არსებით განხილვაზე დაშვების საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების თანახმად, პრეტენზია არ ეხებოდა აჰმეტ ჩაკისის ცოლსა და შვილებს. ვინაიდან სასამართლოსთვის წარდგენილი საქმის მოცულობა შემოიფარგლა არსებით განხილვაზე დაშვებადობასთან დაკავშირებით კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (სხვა მაგილითებს შორის იხ. საქმეზე *McMichael v. the United Kingdom* 1995 წლის 24 თებერვალს გამოტანილი განაჩენი, სერია A №307-B, გვ. 50, პუნქტი 71), შესაბამისად, სასამართლო განიხილავს განაცხადის ამ მხარეს მხოლოდ განმცხადებელთან დაკავშირებით.

98. სასამართლო აღნიშნავს, რომ ქურთის საქმეში (საქმეზე *Kurt v. Turkey* გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, გვ. 1187-88, პუნქტები 130-134), რომელიც ეხებოდა განმცხადებლის შვილის გაუჩინარებას არაღიარებული პატიმრობის შედეგად, მან დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ ცალკეულ გარემოებათა გამო დაირღვა მე-3 მუხლი. სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ განმცხადებელი იყო დედა მსხვერპლისა, რომელიც დაექვემდებარა ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს, და თავადაც მიიჩნეოდა მსხვერპლად ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებების გამო, რომლებმაც ნერვიულობა და დარდი გამოიწვია. თუმცა ქურთის საქმეზე გამოტანილი განაჩენი არ ადგენს რაიმე ზოგად პრინციპს იმასთან დაკავშირებით, რომ „გაუჩინარებული პირის“ ოჯახის წევრი ავტომატურად ხდება მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის მსხვერპლი.

არის თუ არა ოჯახის წევრი ამგვარი მსხვერპლი, დამოკიდებული იქნება ისეთი განსაკუთრებული ფაქტორების არსებობაზე, რომლებიც განმცხადებელს აყენებს ნერვიულობისაგან განსხვავებული ზომისა და ხასიათის განცდას და შესაძლებელია, მიჩნეული იქნეს, რომ ეს განცდა აშკარად მიაყენეს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის მსხვერპლის ნათესავებს. აქ იგულისხმება ოჯახური კავშირის სიახლოვე – ამ კონტექსტში გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭება მშობლისა და შვილის კავშირს, ურთიერთობის ცალკეული გარემოებები, ის გარემოება, თუ რამდენად შეესწრო ოჯახის წევრი შესაბამის მოვლენებს, ოჯახის წევრის მცდელობები, მოეპოვებინა ინფორმაცია

გაუჩინარებული პირის შესახებ, აგრეთვე, ის, თუ რა სახით უპასუხეს ხელისუფლების ორგანოებმა მის კითხვებს. ამის შემდეგ სასამართლომ უნდა აღნიშნოს, რომ ასეთი დარღვევის არსი უმთავრესად ოჯახის წევრის „გაუჩინარების“ ფაქტს კი არ ეხება, არამედ ხელისუფლების ორგანოების რეაქციას და მიდგომას სიტუაციისადმი, როდესაც მათ ეცნობებათ ფაქტის შესახებ. ნათესავს განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ფაქტორის გათვალისწინებით შეუძლია პირდაპირ განაცხადოს, რომ იგი არის ხელისუფლების ქმედების მსხვერპლი.

99. წინამდებარე საქმეში განმცხადებელი იყო გაუჩინარებული პირის ძმა. განსხვავებით განმცხადებლისაგან ქურთის საქმეში, იგი არ შესწრება უშიშროების ძალების მიერ მისი ძმის წაყვანას, რადგან საკუთარ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სხვა ქალაქში. ასევე ირკვევა, რომ მაშინ, როდესაც განმცხადებელი დაკავებული იყო ხელისუფლების ორგანოებისათვის სხვადასხვა საჩივრებისა და კითხვების წარდგენით, ამ ამოცანის შესრულების სიმძიმე მას არ აწვა – ინიციატივა 1993 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული საჩივრის წარდგენაზე დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოში მისმა ძამამ, თეფგიკ ცაკისმა აიღო. სასამართლოსათვის ამ საქმეში არც ხელისუფლების მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე რაიმე გამამწვავებელი ნიშნების შესახებ გამხდარა ცნობილი. შესაბამისად, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე განსაკუთრებულ ნიშანს, რომელიც არსებობს ამ საქმეში და გაამართლებდა დასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დამატებით დარღვევას განმცხადებელთან მიმართებაში. შესაბამისად, ამ საქმეში ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებელთან მიმართებაში.

V. კონვენციის მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

100. განმცხადებელი აცხადებდა, რომ მისი ძმის გაუჩინარებამ გამოიწვია მე-5 მუხლის მრავალმხრივი დარღვევა. მე-5 მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

- ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ პირის კანონიერი დაპატიმრება;
- ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდეგ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;

...

2. ყველა დაკავებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მისი დაკავების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, ყველა დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე ან პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლება აღკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე“.

101. განმცხადებლის მტკიცებით, მისი ძმა, აჰმეტ ჩაკისი, რომელიც დაპატიმრებულ იყო უშიშროების ძალების მიერ, წაყვანილი იქნა ჰაზროში ერთი ღამით, შემდეგ კი დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში, სადაც იგი 1993 წლის 2 დეკემბრამდე იმყოფებოდა პატიმრობაში. მისი პატიმრობა არ იქნა შეტანილი ციხის ჩანაწერებში და უარყოფილი იქნა ხელისუფლების ორგანოების მიერ, რამაც ამგვარად ჩამოართვა მას ის გარანტიები, რომლებიც თან უნდა ახლდეს პატიმრობას. იგი არ ყოფილა წარდგენილი სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე უფლებამოსილი მოხელის წინაშე გონივრულ ვადაში, რასაც მოითხოვს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, არ გააჩნდა ადვოკატთან, ექიმთან თუ ნათესავთან შეხვედრის საშუალება და არ შეეძლო გაესაჩივრებინა თავისი პატიმრობის კანონიერება, რასაც მოითხოვს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი. ხელისუფლების მიერ ასევე არ ყოფილა წარმართული დაუყოვნებელი და ქმედითი გამოძიება ოჯახის პრეტენზიასთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ აჰმეტ ჩაკისი აყვანილი იქნა პატიმრობაში, რაც, განმცხადებლის აზრით, წარმოადგენს მე-5 მუხლის კიდევ ერთ დარღვევას.

102. მთავრობა უარყოფდა, რომ აჰმეტ ჩაკისი აყვანილი იქნა პატიმრობაში და ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებელს მიაწოდეს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მის ძმასთან დაკავშირებით, კერძოდ, შეატყობინეს ის ფაქტი, რომ მისი გვარი არ იყო მოხსენიებული ციხის ჩანაწერებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კომისიის მიერ ციხის ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოთქმული კრიტიკა შეუსაბამო იყო ამ საქმის ფაქტებისადმი, ყოველ შემთხვევაში, არაპროპორციული მაინც. მათი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის პატიმრობაში ყოფილი იმ დროით, რასაც განმცხადებელი ამტკიცებდა, შესაბამისი ჩანაწერების გარეშე ან შესაფერისი სასამართლო პროცედურების გარეშე. მათ ასევე მიუთითეს მე-15 მუხლის შესაბამისად გაკეთებულ გადახვევაზე და მოიხსენიეს აქსოის საქმე (საქმეზე *Aksoy v. Turkey* 1996 წლის 18 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1996-VI). ამ საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ არსებობდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ტერორისტებისაგან გამომდინარე საფრთხით ემუქრებოდა ერის სიცოცხლეს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.

103. კომისიამ დაასკვნა, რომ აჰმეტ ჩაკისს თვითნებურად აღუკვეთეს თავისუფლება უშიშროების ძალების წარმომადგენლებმა და დაადგინა, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია ჯეროვანი თუ დასაბუთებული ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეემთხვა მას. როდესაც განხილული იქნა ის გარანტიები, რომლებიც დაპატიმრებულ პირს იცავს ძალადობრივი გაუჩინარებისაგან, კომისიამ აღნიშნა, რომ ლიცეს, ჰაზროსა და დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინის ციხის ჩანაწერებში გარკვეული ინფორმაცია გამოტოვებულია, ჩანაწერები უწესრიგოა და მათში შეინიშნება ისეთი სახის შეუსაბამობები, რომელთა გამოც ისინი აღარ შეიძლება სარწმუნოდ და კეთილსინდისიერად შედგენილად ჩაითვალოს. ასევე არ იყო დამაკმაყოფილებელი ის, თუ რა დონეზე იცოდნენ ჟანდარმეებმა, ან როგორ ახორციელებდნენ, ციხის ჩანაწერების წარმოების მართებულ და ეფექტურ პროცედურას.

104. სასამართლომ რამდენიმეჯერ გაუსვა ხაზი მე-5 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიათა დიდ მნიშვნელობას ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში, რაც გულისხმობს ადამიანის დაცვას დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან თვითნებური პატიმრობისაგან (სხვა მაგალითებს შორის იხ. ქურთის საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი, გვ. 1184-85, პუნქტი 122). ამ კონტექსტში სასამართლომ რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი შემთხვევა არა მარტო ეროვნული კანონმდებლობის არსებით და პროცედურულ წესებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს, არამედ შესაბამისობაში უნდა იყოს ასევე მე-5 მუხლის მიზანთან, სახელდობრ, დაიცვას პირი თავისუფლების თვითნებურად აღკვეთისაგან (სხვა მაგალითებს შორის იხ. საქმეზე *Chahal v. the United Kingdom* 1996 წლის 15 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1996-V, გვ. 1864, პუნქტი 118). იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი თვითნებური პატიმრობის რისკი, მე-5 მუხლი წარმოაჩენს არსებით უფლებათა ჯგუფს, რომელიც მიმართულია იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ თავისუფლების აღკვეთის აქტი ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს და ღონისძიებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას აკისრებდეს ხელისუფლების ორგანოებს. როგორც ეს სასამართლომ აღნიშნა ქურთის საქმეში (ქურთის საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი, გვ. 1185, პუნქტი 124), ადამიანის არაღიარებული პატიმრობა ამ გარანტიათა სრულ უარყოფას წარმოადგენს და ამავე დროს მე-5 მუხლის ყველაზე უხეში დარღვევაა. ხელისუფლების ორგანოთა კონტროლის ქვეშ მყოფ ადამიანებზე ამ ორგანოების პასუხისმგებლობის გათვალისწინებით მე-5 მუხლი მოითხოვს მათგან ქმედით ღონისძიებათა განხორციელებას გაუჩინარების რისკისაგან დასაცავად და დაუყოვნებელი და ეფექტიანი გამოძიების წარმართვას იმ დასაბუთებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ადამიანი აყვანილი იქნა პატიმრობაში და ამის შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

105. ამ მოსაზრებათა მხედველობაში მიღებით, სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ მან აღიარა კომისიის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ აჰმეტ ჩაკისი დაპატიმრებული იქნა უშიშროების ძალების მიერ, გადაყვანილი იქნა ჰაზროში, სადაც გაატარა 1993 წლის 8 ნოემბრის დამე, შემდეგ კი გადაყვანილი იქნა დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში, სადაც 1993 წლის 2 დეკემბრამდე იმყოფებოდა პატიმრობაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 50-ე პუნქტი). ეს პატიმრობა არ ყოფილა ასახული ჰაზროსა თუ დიარბაკირის ციხის ჩანაწერებში, არც რაიმე სახის დოკუმენტაცია არსებობდა მისი ადგილსამყოფელისა თუ ბედის შესახებ. აუცილებელია დაპატიმრების თარიღის, პატიმრობის დროისა და პატიმრის ადგილსამყოფელის, ასევე პატიმრობის საფუძვლისა და პატიმრობის განმახორციელებელი პირების შესახებ ზუსტი ინფორმაციის ჩაწერა, რათა ადამიანის პატიმრობა შეესაბამებოდეს კანონიერების მოთხოვნას მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის. განმცხადებელთან დაკავშირებული ჩანაწერების არარსებობა დამძიმებულია კომისიის დასკვნით ჩანაწერების არასაიმედო ხასიათისა და უზუსტობის თაობაზე. სასამართლო ასევე ეთანხმება კომისიის პრეტენზიებს იმ პრაქტიკასთან მიმართებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა კომისიის დელეგატების წინაშე გამოცხადებული მოწმე ჟანდარმების მიერ ადამიანის პატიმრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის რეგისტრაციის თვალსაზრისით – იგულისხმება ის ფაქტი, რომ არ აღირიცხება ადამიანის სხვაგან (და არა პატიმრობისათვის განკუთვნილ ოფიციალურ ადგილას) პატიმრობაში ყოფნა, არ ხდება არც პატიმრობის ადგილიდან ნებისმიერი მიზნით ადამიანის გადაყვანის რეგისტრირება. სასამართლო დაუშვებლად ცნობს ისეთი ჩანაწერების უქონლობას, რომლებიც საშუალებას იძლევა, დადგინდეს პატიმრის ადგილმდებარეობა გარკვეულ დროს.

106. ამას გარდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განმცხადებლის ოჯახმა აცნობა ხელისუფლების ორგანოებს სამი თვითმხილველი

მოწმის შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ აჰმეტ ჩაკისის დაპატიმრების ფაქტის დადასტურება, არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა, რათა მოპოვებულიყო რაიმე სახის მტკიცებულება, ციხის ჩანაწერების მოკვლევის გარდა, სანამ მთავრობას არ ეცნობა კომისიისთვის წარდგენილი განაცხადის თაობაზე. სასამართლომ უკვე გააკეთა კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ იმ ეტაპზე წარმომავალი მოკვლევა არ იყო საკმარისი, საკმარისი არ იყო არც გამოძიება აჰმეტ ჩაკისის გვამის პოვნის თაობაზე ანგარიშთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 80). ამასთან, არ წარმართულა არც დაუყოვნებელი და არც რაიმე სარგებლობის მომტანი მოკვლევა აჰმეტ ჩაკისის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით.

107. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ აჰმეტ ჩაკისი იმყოფებოდა არადიარებულ პატიმრობაში, მას აბსოლუტურად არ გააჩნდა მე-5 მუხლით მინიჭებული გარანტიები და რომ ადგილი ჰქონდა ამ დებულებით უზრუნველყოფილი – ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების – უფლების განსაკუთრებით უხეშ დარღვევას.

VI. კონვენციის მე-13 მუხლის საგარეულო დარღვევა

108. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ძმის გაუჩინარებასთან დაკავშირებით მას არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება არც როგორც თავად უშუალო მსხვერპლს, და არც როგორც ძმის წარმომადგენელს, და ამტკიცებდა მე-13 მუხლის დარღვევას. ამ მუხლის თანახმად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევა ჩადენილია პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას“.

109. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება მისი ძმის გაუჩინარების ზედაპირული და გაწელილი გამოძიებიდან გამომდინარე. მან, *inter alia*, მიუთითა, რომ პროკურორებმა არ აწარმოეს ციხის ჩანაწერთა გამოკვლევა და რომ იურისდიქციის უქონლობის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანისას პროკურორი დაეყრდნო დაუსაბუთებელ მოხსენებას ტერორისტებთან შეტაკების შემდეგ აჰმეტ ჩაკისის გვამის პოვნასთან დაკავშირებით.

110. მთავრობა ამტკიცებდა, რომ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებათა სისტემა იძლეოდა ეფექტიან გამოსასწორებელ საშუალებას, თუკი განმცხადებლის მიერ შესაბამისად და პატიოსნად იქნებოდა გამოყენებული. მთავრობა მიუთითებდა აიტეკინის საქმეზე (აიტეკინის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი). წინამდებარე საქმეში განმცხადებელს სერიოზულად არ უცდია, მოეძია სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება შიდა ორგანოებისგან, რომლებმაც, განმცხადებლის მტკიცების საწინააღმდეგოდ, გადადგეს შესაბამისი ნაბიჯები მის მიერ წარმოდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით, როგორც კი ისინი მათთვის ცნობილი გახდა.

111. კომისიამ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მე-13 მუხლის დარღვევას, რადგან პროკურორებმა დაუყოვნებლივ და ეფექტიანად არ გამოძიეს განმცხადებლის ძმის გაუჩინარების ფაქტი და იგნორირება გაუკეთეს ან არ გაითვალისწინეს მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგინა განმცხადებელმა თავის პრეტენზიათა გასამყარებლად. მოსმენაზე კომისიის დელეგატმა წამოაყენა წინადადება, რომ ამ საქმეზეც ისეთივე გადაწყვეტილება ყოფილიყო გამოტანილი, როგორც სასამართლოს მიერ გამოტანილ წინა 15 განაჩენში საქმეებზე, რომლებშიც ადამიანის სიცოცხლის

უფლების დაუცველობა, გაუჩინარება, არასათანადო მოპყრობა და სახლების დანგრევა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში დაკავშირებული იყო სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების უზრუნველყოფის წარუმატებლობასთან; ეს განსაკუთრებით ეხება უშიშროების ძალების მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიების აღძვრის სურვილის უქონლობას და მზადყოფნას, სარწმუნოდ მიჩნეულიყო უშიშროების ძალების წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი დაუსაბუთებელი მტკიცებები. ყველა საქმეში, გარდა აიტკინის საქმისა (რომელიც განსხვავდებოდა იმით, რომ ამ საქმეში არსებობდა ამოცნობილი დამნაშავე, რომელმაც ინციდენტის დასაწყისშივე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა განმცხადებლის ქმარს) დადგენილი იქნა საგამოძიებო პროცედურების არაადეკვატურობა.

112. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობას ეროვნულ დონეზე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს კონვენციით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ისინი ასახული შიდა სამართალში. აქედან გამომდინარე, მე-13 მუხლი მოითხოვს სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობას, რათა, კონვენციის შესაბამისად, განხილული იქნეს „დასაბუთებული პრეტენზიის“ არსი და გაწეული იქნეს შესაბამისი დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ ხელშემკერველ სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ გარკვეული დისკრეცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით უნდა შეესაბამებოდეს მათი სამართლებრივი სისტემა და პრაქტიკა კონვენციის ამ დებულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. მე-13 მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულების ფარგლები განსხვავებულია და დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ კონვენციის შესაბამისად წარმოდგენილ საჩივარზე. მიუხედავად ამისა, მე-13 მუხლით მოთხოვნილი საშუალება უნდა იყოს „ეფექტიანი“ როგორც პრაქტიკულად, ისე სამართლებრივად, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ მის განხორციელებას გაუმართლებლად არ უნდა შეეშალოს ხელი მოპასუხე სახელმწიფოს ქმედებებითა თუ ქმედებებისაგან თავის შეკავებით (იხ. აქსონის საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი გვ. 2286, პუნქტი 95; საქმეზე *Aydin v. Turkey* 1997 წლის 25 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1997-VI, გვ. 1895-96, პუნქტი 103; და საქმეზე *Kaya v. Turkey* 1998 წლის 19 თებერვალს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1998-I, გვ. 329-30, პუნქტი 106).

113. სასამართლომ დაადასტურა წინამდებარე საქმეში კომისიის დასკვნა არადიარებულ პატიმრობასთან, არასათანადო მოპყრობასა და განმცხადებლის ძმის გაუჩინარებასთან დაკავშირებით იმ პირობებში, რომლებიც წარმოშობს ვარაუდს, რომ იგი ხსენებული მოვლენების შედეგად გარდაიცვალა. გამომდინარე ისეთ უფლებათა ფუნდამენტური მნიშვნელობიდან, როგორიც არის სიცოცხლის დაცვის უფლება და წამებისა თუ არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, მე-13 მუხლი არ ეწინააღმდეგება რომელიმე სხვა საშუალებას, რომელიც ხელმისაწვდომია შიდასამართლებრივ სისტემაში, და სახელმწიფოებს ავალდებს, განახორციელონ ჯეროვანი და ეფექტიანი გამოძიება, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდება დამნაშავე პირთა გამოძიება და დასჯა და რომლის დროსაც მომჩივანი უფლებამოსილი იქნება, ქმედითი მონაწილეობა მიიღოს გამოძიების სამართალწარმოებაში. (იხ. იასას საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი, გვ. 2442, პუნქტი 114).

114. წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებს გააჩნდათ ვალდებულება, წარემართათ ქმედითი გამოძიება განმცხადებლის ძმის გაუჩინარებასთან დაკავშირებით. გაითვალისწინა რა წინამდებარე განაჩენის მე-80 და 106-ე პუნქტები, სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებები, რამაც ძალა დაუკარგა ყველა სხვა ისეთი საშუალების ეფექტურობას, რომლებიც შეიძლებოდა არსებულიყო.

VII. კონვენციის მე-14 და მე-18 მუხლების სავარაუდო დარღვევა

115. განმცხადებლის მტკიცებით, მისი ძმის გაუჩინარება წარმოადგენდა ხელისუფლების ორგანოების მიერ ქურთი მოქალაქეების წინააღმდეგ ხელისუფლების ორგანოების მიერ გატარებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას და ნებადართული პრაქტიკის არსებობას, რაც არღვევს კონვენციის, შესაბამისად, მე-14 და მე-18 მუხლებს.

მე-14 მუხლის თანახმად:

„კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია ნებისმიერ ისეთ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება თუ სხვა სტატუსი.“

მე-18 მუხლის თანახმად:

„სხენებულ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვები, რომლებიც კონვენციით არის დაშვებული, არ გამოიყენება სხვა, თუ არა მათთვის გათვალისწინებული, მიზნებისათვის.“

116. კომისიამ დაასკვნა, რომ განმცხადებლის პრეტენზიები ამ დებულებათა შესაბამისად არ იყო დასაბუთებული და არ წარმოაჩენდა დარღვევებს. მთავრობაც იმავე აზრისა იყო.

117. კომისიის მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია არც ერთი ხსენებული დებულების დარღვევას.

VIII. ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული პრაქტიკა, რომელიც სავარაუდოდ არღვევდა მე-13 მუხლს

118. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ პრაქტიკა, რომელიც შეწყნარებული იყო უმაღლეს დონეზე და არღვევდა კონვენციას, მყარად იყო გამეფებული თურქეთში და რომ ოფიციალური შემწყნარებლობის ხარისხი, რომელიც ნათლად ჩანდა ამ პრაქტიკაში, სრულიად არაეფექტურს ხდიდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში არსებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემას. ამგვარად, ადგილი ჰქონდა პრაქტიკას, რომელიც არღვევდა მე-13 მუხლს.

119. მთავრობამ უარყო განმცხადებლის ეს მოსაზრება.

120. კომისიის დელეგატმა, მიანიშნა რა სასამართლოს მიერ თურქეთის საქმეებზე გამოტანილ წინა განაჩენებზე, რომლებშიც არაეფექტურად იყო მიჩნეული საშუალებები, აღნიშნა, რომ კომისიას ჯერჯერობით არ მიუჩნევია პრაქტიკა არაეფექტურად, გამომდინარე თავისი დიდი გამოცდილებიდან, თუმცა არ უნდა გამოირიცხოს, რომ კომისიამ ეს შესაძლოა გააკეთოს იმ საქმეებში, რომლებსაც განიხილავს თავისი უფლებამოსილების დასრულებამდე ანუ 1999 წლის ოქტომბრამდე.

121. სასამართლო თვლის, რომ ამ საქმეში მოპოვებულ მტკიცებულებათა განხილვის ფარგლები და ის მასალა, რომელიც თან ერთვოდა საქმეს, არ არის საკმარისი, რათა კომისიას მიეცეს საშუალება, განსაზღვროს, დაამკვიდრეს თუ არა ხელისუფლების ორგანოებმა ისეთი პრაქტიკა, რომელიც არღვევს კონვენციის მე-13 მუხლს.

IX. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

122. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები და თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას.“

ა. მატერიალური ზარალი

123. განმცხადებელმა მოითხოვა თავისი რძლისა და ძმისშვილებისთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება. იგი მოითხოვდა 282,47 გირვანქა სტერლინგს, რაც შეადგენდა 4 700 000 თურქულ ლირას (ეს თანხა სავარაუდოდ ჩამოართვა პირველმა ლეიტენანტმა აჰმეტ ცაკისს დაკავებისას) და 11 534,29 გირვანქა სტერლინგს დაკარგული შემოსავლისათვის. ეს თანხა დათვლილი იქნა აჰმეტ ჩაკისის თვიური ხელფასის საფუძველზე, რაც შეადგენდა 30 000 000 თურქულ ლირას.

124. მთავრობამ 4 700 000 თურქული ლირის გადახდის საკითხი სადავო გახადა, ვინაიდან, მისი აზრით, ინფორმაციის წყაროს – მუსტაფა ენგინის – ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო და არ შეიძლებოდა მასზე დაყრდნობა. მთავრობის მტკიცებით, შეუსაბამო იქნებოდა დაკარგული შემოსავლის ანაზღაურება აჰმეტ ცაკისთან მიმართებაში, რადგან არ ყოფილა დადგენილი, რომ იგი გარდაცვლილია და, ნებისმიერ შემთხვევაში, აჰმეტ ჩაკისის მემკვიდრეებისთვის არ შეიძლებოდა რაიმე კომპენსაციის გადახდა, რადგან ისინი არ იყვნენ განმცხადებლები ამ საქმეში.

125. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა განაცხადი როგორც თავისი, ისე ძმის სახელით წარმოადგინა. ამ გარემოებებში სასამართლოს შეუძლია, თუ შესაფერისად ჩათვლის, მიანიჭოს განმცხადებელს კომპენსაცია როგორც მისი ძმის მემკვიდრეს (იხ. ქურთის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, გვ. 1195, პუნქტი 174).

126. რაც შეეხება 4 700 000 თურქული ლირის მოთხოვნას, სასამართლო აღნიშნავს, რომ კომისიას არ მოუპოვებია არანაირი ფაქტი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ ჟანდარმერიის წარმომადგენელმა აჰმეტ ცაკისს ფული ჩამოართვა. სასამართლომ შეახსენა მხარეებს, რომ ეს პრეტენზია მომდინარეობს მუსტაფა ენგინის მიერ მიცემული ჩვენებიდან, რომლის თანახმად აჰმეტ ცაკისმა დიარბაკირის პროვინციის ჟანდარმერიის შტაბ-ბინაში პატიმრობისას უამბო მას, რომ ლეიტენანტმა წაართვა ფული. რემში ჩაკისი ასევე აცხადებდა, რომ თანასოფელელმა ბიჭმა უამბო მას, თუ როგორ დაინახა, ჟანდარმმა აჰმეტ ცაკისს ფული რომ წაართვა (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-14 და მე-15 პუნქტები). სასამართლომ აღიარა კომისიის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მოწმეები ზოგადად სარწმუნონი იყვნენ, მაგრამ აღნიშნა, რომ არც ერთი მოწმე არ იყო პირდაპირი თვითმხილველი ფულის სადავო კონფისკაციისა. ისინი ეყრდნობოდნენ სხვა პირების ნაამბობს. სასამართლოს არ მიაჩნია, რომ ეს წარმოქმნის საკმარისად დასაბუთებულ საფუძველს იმისათვის, რომ განმცხადებელს გადაეხადოს ამ ფაქტთან დაკავშირებით ანაზღაურება მიყენებული მატერიალური ზიანისათვის.

127. რაც შეეხება განმცხადებლის პრეტენზიას დაკარგულ შემოსავალთან დაკავშირებით, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს შემდეგს: აშკარა უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი განმცხადებლის მიერ გასაჩივრებულ ზიანსა და კონვენციის დარღვევას შორის და ამას შეუძლია შესაბამის საქმეში მოიცვას კომპენსაცია დაკარგული შემოსავლის გამო (სხვა მაგალითებს შორის იხ. საქმეზე *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain* 1994 წლის 13 ივნისს გამოტანილი განაჩენი (50-ე

მუხლი) სერია A №285-C, გვ. 57-58, პუნქტები 16-20). სასამართლომ დაადგინა (წინამდებარე განაჩენის 85-ე პუნქტი), რომ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ აჰმეტ ჩაკისის სიკვდილი მოჰყვა უშიშროების ძალების მიერ მის დაკავებას და რომ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ფაქტზე კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად. ამ გარემოებებში არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მე-2 მუხლის დარღვევასა და განმცხადებლის რძლისა და ძმისშვილების მიერ იმ ფინანსური სახსრების დაკარგვას შორის, რომლებითაც აჰმეტ ჩაკისი ოჯახს უზრუნველყოფდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ გამოუთქვამს პრეტენზია განმცხადებლის მიერ დასახელებულ თანხასთან მიმართებაში. ამიტომ სასამართლომ გაითვალისწინა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დეტალური არგუმენტაცია შესაბამისი თანხის (რომელიც ასახავდა აჰმეტ ჩაკისის გარდაცვალების გამო განცდილ მატერიალურ ზიანს) აქტუარიულ საფუძველთან დაკავშირებით, და აკისრებს სახელმწიფოს 11 534,29 გირვანქა სტერლინგის გადახდას. ეს თანხა განმცხადებელმა თავისი ძმის მეუღლესა და შვილებს უნდა გადასცეს განცდილი ზიანისათვის.

ბ. არამატერიალური ზიანი

128. განმცხადებელი მოითხოვდა 40 000 29 გირვანქა სტერლინგს არამატერიალური ზიანისათვის, რომელიც განიცადა მისმა ძმამ კონვენციის დარღვევით. განმცხადებელმა მიუთითა სასამართლოს მიერ მინიჭებულ წინა თანხებზე იმ საქმეებში, რომლებშიც ადგილი ჰქონდა უკანონო დაკავებას, წამებასა და ქმედითი გამოძიების არარსებობას.

129. მთავრობის მტკიცებით, მინიჭებული თანხები არ უნდა გახდეს განმცხადებელთა გამდიდრების საშუალება და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოებები, ისე საგარაუდო მსხვერპლისა და განმცხადებლის ასაკი და სოციალური მდგომარეობა. მთავრობის აზრით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი კოლოსალური თანხების მინიჭება არანაირად არ იყო გამართლებული.

130. სასამართლო იხსენიებს, რომ ქურთის საქმეზე გამოტანილ განაჩენში (ზემოსხენებული გადაწყვეტილება, გვ. 1195, პუნქტები 174-175) სახელმწიფოს დაეკისრა 15 000 გირვანქა სტერლინგის გადახდა კონვენციის მე-5 და მე-13 მუხლების დარღვევისათვის, როდესაც განმცხადებლის ვაჟი პატიმრობაში ყოფნისას გაუჩინარდა. ეს თანხა განმცხადებელს მიენიჭა მისი შვილის სახელით და მისი მემკვიდრეებისათვის გადასაცემად, ხოლო თავად განმცხადებელმა მიიღო 10 000 29 გირვანქა სტერლინგი საქმის იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებმაც სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევას. წინამდებარე საქმეში სასამართლომ, მე-5 და მე-13 მუხლების დარღვევის გარდა, დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების – სიცოცხლის პატივისცემის უფლების – დარღვევას და წამებას, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს. აღნიშნა რა ის თანხები, რომელთა გადახდაც დაეკისრა სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთთან დაკავშირებულ საქმეებში, რომლებიც ამ დებულებებს ეხებოდა (მე-3 მუხლთან დაკავშირებით იხ. აქსოსის საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი, გვ. 2289-90, პუნქტი 113, აიდინის საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი, გვ. 1903, პუნქტი 131, ტეკინის საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი გვ. 1521-22, პუნქტი 77; მე-2 მუხლთან დაკავშირებით: კაიას საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი, გვ. 333, პუნქტი 122, საქმეზე *Güleç v. Turkey* 1998 წლის 27 ივლისს გამოტანილი განაჩენი, *მოხსენებები* 1998-IV, გვ. 1734, პუნქტი 88, საქმეზე *Ergi v. Turkey* 1998 წლის 28 ივლისს გამოტანილი განაჩენი, *მოხსენებები* 1998-IV, გვ. 1785, პუნქტი 110, იასას საქმეზე გამოტანილი ზემოსხენებული განაჩენი, გვ. 2444-45, პუნქტი 124, და საქმეზე *Oğur v. Turkey* [GC] გამოტანილი განაჩენი, განაცხადი №21594/93, პუნქტი 98, ადამიანის უფლებათა

ევროპული კონვენცია, 1999-III) და გაითვალისწინა რა წინამდებარე საქმის გარემოებები, სასამართლომ გადაწყვიტა, დააკისროს სახელმწიფოს 25 000 გირვანქა სტერლინგის გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს ეს თანხა თავისი ძმის მემკვიდრეებს. რაც შეეხება განმცხადებელს, სასამართლომ არ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა მასთან მიმართებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 99-ე პუნქტი). თუმცა განმცხადებელმა უდავოდ განიცადა ზიანი იმ დარღვევების შედეგად, რომლებიც დაადგინა სასამართლომ, და შეიძლება მიხნეული იქნეს „დაზარალებულ მხარედ“ 41-ე მუხლის მიზნებისათვის. მხედველობაში იქნა რა მიღებული დარღვევების სიმძიმე და სამართლიანობის პრინციპი, სასამართლომ დააკისრა სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ 2 500 გირვანქა სტერლინგის გადახდა.

ბ. ბაწეული ხარჯები

131. განმცხადებელი მოითხოვდა 32 205,17 გირვანქა სტერლინგის გადახდას გაწეული ხარჯებისათვის, რომლებიც საჭირო გახდა განაცხადის წარმოდგენისათვის. ეს იყო ხარჯები, რომლებიც საჭირო გახდა ანკარაში კომისიის დელეგატების წინაშე გამოსაცხადებლად და ჩვენებების მისაცემად, ასევე სტრასბურგში გამართულ მოსმენაზე და სასამართლო მოსმენაზე დასასწრებად. 3 520 გირვანქა სტერლინგის ოდენობის თანხაა მითითებული ქურთების ადამიანის უფლებათა პროექტისათვის (KHRP) ჰონორარებისა და ადმინისტრაციული ხარჯების სახით იმ დამაკავშირებელი რგოლის როლისათვის, რომელიც მან შეასრულა გაერთიანებულ სამეფოში ადვოკატთა გუნდსა და თურქეთში მყოფ განმცხადებელსა და ადვოკატებს შორის, ხოლო 3 600 გირვანქა სტერლინგი – თურქი ადვოკატების მიერ გაწეული სამუშაოსათვის. განმცხადებელმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, დაესახელებინა ის მიზეზები, რომელთა გამოც სასამართლომ გადაწყვიტა დაეკისრებინა სახელმწიფოსათვის მის სასარგებლოდ თანხების გადახდა, ან თუნდაც იმის მიზეზები, თუ რატომ არ დაეთანხმა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ თანხას. ამ თხოვნის მიზანია მეტი სამართლებრივი გამჭვირვალობის მიღწევა და მომავალი განმცხადებლებისა და მათი იურიდიული წარმომადგენლებისათვის დახმარების გაწევა.

132. მთავრობამ პრეტენზია განაცხადა ქურთების ადამიანის უფლებათა პროექტისათვის თანხის გადახდასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ ორგანიზაციის ფუნქციები საკმარისად არ იყო დაკონკრეტებული. მთავრობა არ დაეთანხმა თურქეთის საზღვრებს გარეთ მყოფი ადვოკატებისათვის ასეთი დიდი თანხების გადახდის მართლზომიერებას და განაცხადა, რომ ის თანხები, რომელთა გადახდაც მოთხოვნილი იყო თურქეთის ადვოკატების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის, აღემატებოდა ადგილობრივ ტარიფებს, კერძოდ, საათში მოთხოვნილი 60 გირვანქა სტერლინგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა 25 გირვანქა სტერლინგისაგან, რაც მოითხოვეს თურქმა ადვოკატებმა ქურთის საქმეში. მთავრობა ასაჩივრებდა იმ ფაქტსაც, რომ მთავრობის გაღებული თანხებით უნდა მომხდარიყო პრეცედენტული სამართლის გამოკვლევა და გაანალიზება, რაც განმცხადებლის ადვოკატებს შემდგომ საქმეებში გამოადგებოდათ.

133. ხარჯებთან დაკავშირებულ პრეტენზიაზე სასამართლო, ადგენს რა სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე და ითვალისწინებს რა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს, ანიჭებს მას 20 000 გირვანქა სტერლინგს, ყველა იმ საშემოსავლო გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს; ამ თანხას გამოაკლდება 7 000 ფრანგული ფრანკი, რომელიც განმცხადებელმა ევროპის საბჭოსგან მიიღო სამართლებრივი დახმარების სახით.

დ. საშრაპი

134. სასამართლო შესაფერისად თვლის, დაადგინოს გაერთიანებულ სამეფოში წინამდებარე განაჩენის გამოტანის დღისათვის მოქმედი საურავი, კერძოდ, წლიური 7,5%.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად უარყოფს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას;
2. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას;
3. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის ძმასთან მიმართებაში;
4. 14 ხმით 3-ის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებელთან მიმართებაში;
5. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას;
6. 16 ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას;
7. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას;
8. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას;
9. ერთხმად ადგენს,

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს განმცხადებელს შემდეგი ოდენობის თანხები თურქულ ლირებში, გადახდის დღეს არსებული კურსით:

(i) 11 534 (თერთმეტი ათას ხუთას ოცდაათოთხმეტი) გირვანქა სტერლინგი და 29 (ოცდაცხრა) პენი მატერიალური ზიანისათვის, რაც განმცხადებელმა უნდა გადასცეს თავისი ძმის ცოლსა და მემკვიდრეებს;

(ii) 25 000 (ოცდახუთი ათასი) გირვანქა სტერლინგი არამატერიალური ზიანისათვის, რაც განმცხადებელმა უნდა გადასცეს თავისი ძმის მემკვიდრეებს, და 2 500 (ორი ათას ხუთასი) გირვანქა სტერლინგი არამატერიალური ზიანისათვის პირადად განმცხადებელს;

(ბ) რომ მარტივი პროცენტი წლიური 7,5%-ის სახით გადახდილი უნდა იქნეს ზემოხსენებული 3 თვის ვადის გასვლიდან თანხის გადახდამდე;

10. ადგენს 12 ხმით 5 წინააღმდეგ,

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს განმცხადებელს გაწეული ხარჯებისათვის 20 000 (ოცი ათასი) გირვანქა სტერლინგი ყველა იმ საშემოსავლო გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს; ამ თანხას გამოაკლდება 7 000 (შვიდი ათასი) ფრანგული ფრანკი, რომელიც გადაყვანილი უნდა იქნეს გირვანქა სტერლინგებში წინამდებარე განაჩენის გამოტანის დღეს არსებული კურსით;

(ბ) რომ მარტივი პროცენტი წლიური 7,5%-ის სახით გადახდილი უნდა იქნეს ზემოხსენებული 3 თვის ვადის გასვლიდან თანხის გადახდამდე.

11. ერთხმად უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, მიღებულია საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1999 წლის 8 ივლისს.

ლუციუს ვილდჰაბერი,
პრეზიდენტი

მოდ დე ბორ-ბუკიკიო,
რეგისტრატორის მოადგილე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის და სასამართლო რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაჩენს თან ერთვის შემდეგ მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებები:

- (ა) ქ-ნი ტომასენის, ბ-ნ ჟუნგვიერტისა და ბ-ნ ფიშახის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- (ბ) ბ-ნ გოლცუკლუს ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

ლ.კ.
მ.ბ

მოსამართლე ტომასენის განსხვავებული აზრი, რომელიც გაიზიარეს მოსამართლეებმა ჯუნგვიერტმა და ფიშახმა

უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას პირადად განმცხადებელთან მიმართებაში. მე ვერ გავიზიარებ ამ მოსაზრებას და ამიტომ ხმა მივეცი დარღვევის სასარგებლოდ.

მთავრობა პასუხისმგებელი იყო განმცხადებლის ძმის გაუჩინარებაზე, წამებასა და სიკვდილზე. განმცხადებელი დარწმუნებული იყო, რაც ამ გარემოებებში გონივრულად უნდა ჩაითვალოს, რომ უშიშროების ძალებმა მისი ძმა აწამეს ციხეში ყოფნისას. ამის შემდეგ განმცხადებლის ძმა გაუჩინარდა. მთავრობამ პასუხი არ გასცა განმცხადებლის მოთხოვნებს, მიეწოდებინათ მისთვის ინფორმაცია, და უარყოფდა კიდევაც, რომ მისი ძმა ოდესმე იმყოფებოდა პატიმრობაში. როდესაც განმცხადებლის ძმა სავარაუდოდ ნაპოვნი იქნა მკვდარი, მთავრობამ გარკვეული დროის შემდეგ განაცხადა, რომ იგი შეტაკებაში იქნა მოკლული. მიუხედავად ამისა, მთავრობამ არანაირი სახით არ შეატყობინა ოჯახს იდენტიფიცირებისა თუ დაკრძალვის პროცედურების შესახებ. ხელისუფლების ორგანოები იგნორირებას უწევდნენ განმცხადებლის ყველა მცდელობას, დაედგინა, თუ რა გადახდა მის ძმას, და ამით მას გაურკვეველობის მდგომარეობაში ამყოფებდნენ და ტკივილს აყენებდნენ ხუთწელიწადნახევრის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ეჭვი არ მეპარება, რომ განმცხადებელი თურქეთის მთავრობის მხრიდან არაადამიანურ მოპყრობას გრძნობდა.

უმრავლესობამ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად საკმარისი არ არის, რომ გაუჩინარებული პირის ოჯახის წევრმა განიცადოს ემოციური სტრესი, რადგან ეს ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლის ნათესავებისათვის აშკარა შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. არის თუ არა ოჯახის წევრი მსხვერპლი, უმრავლესობის აზრით, დამოკიდებულია ისეთი განსაკუთრებული ფაქტორების არსებობაზე, რომლებიც განმცხადებელს აყენებს ნერვიულობისაგან განსხვავებული ზომისა და ხასიათის ტკივილს (იხ. წინამდებარე განაჩენის 98-ე პუნქტი). ამ კრიტერიუმის არსებითად განხილვის გარეშე მე არა ვარ დარწმუნებული, რომ წინამდებარე საქმეში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული განსაკუთრებული ფაქტორები.

განაჩენში უმრავლესობა ერთმანეთისაგან ასხვავებს წინამდებარე საქმესა და ქურთის (იხ. ქურთის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1998 წლის 25 მაისი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე 1998-III), რომელშიც სასამართლომ გაუჩინარებული პირის დედის მიმართ მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა. აშკარაა, რომ განცდა დედისა, რომელიც ხედავს, რომ მისი შვილი დააკავეს, და იმყოფება გაურკვეველობაში მის ბედთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოჩენილი გულგრილობის გამო, რა თქმა უნდა, გაუსაძლისი უნდა იყოს. თუმცა ძმის ბედთან დაკავშირებული გაურკვეველობის გამო ძმამაც შესაძლოა განიცადოს დიდი დარდი. ჩემთვის არ არის დამაჯერებელი განაჩენში იმ ფაქტის მოხსენიებაც, რომ განმცხადებელი არ შესწრებია უშიშროების ძალების მიერ მისი ძმის დაპატიმრებას, ვინაიდან ოჯახთან ერთად სხვა ქალაქში ცხოვრობდა. არ ვეთანხმები არც განაჩენისთვის საფუძვლად იმ გარემოების დადებას, რომ ხელისუფლების ორგანოებისთვის შუამდგომლობებისა და კითხვების წარდგენისას ძირითადი ტვირთი განმცხადებელს არ ეკისრა, ვინაიდან შუამდგომლობა 1993 წლის 22 დეკემბერს დიარბაკირის ეროვნული უშიშროების სასამართლოში მამამისმა შეიტანა. რაც შეეხება ამ ბოლო მომენტს, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ძმის გაუჩინარების მომენტიდან განმცხადებელი აქტიურად იყო ჩაბმული ხელისუფლების ორგანოებისთვის სხვადასხვა შუამდგომლობებისა და კითხვების წარდგენაში და რომ სწორედ მან წარმოადგინა განაცხადი ევროპის სასამართლოში.

თურქეთის მთავრობას დაეკისრა პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი ყველაზე უხეში დარღვევისთვის – ადამიანის სიცოცხლის უფლების უპატივცემლობისთვის. უფრო მეტიც, მთავრობა განმცხადებელს ხუთწელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ამყოფებდა გაურკვეველობაში მისი ძმის ბედთან დაკავშირებით. ამით მთავრობამ გამოამუღავნა საშინელი გულგრილობა განმცხადებლის გრძნობებისადმი და მისი მცდელობებისადმი, გაეგო რაიმე თავისი ძმის ბედის შესახებ. გარდა იმისა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა დაარღვიეს განმცხადებლის ძმის სიცოცხლის პატივისცემის ვალდებულება, მათ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ საშინელი სულიერი ტანჯვისა და გაურკვეველობისთვის, რომლებსაც განმცხადებელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა ხელისუფლების ორგანოების გულგრილობის გამო. მე მიმაჩნია, რომ ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ნამდვილად წარმოშობს განმცხადებლის მიმართ მე-3 მუხლის დარღვევას.

მოსამართლე გოლცუკლუს განსხვავებული აზრი

ჩემდა სამწუხაროდ, მე არ შემიძლია დავეთანხმო უმრავლესობის მოსაზრებას გარკვეულ ასპექტებში.

როგორც საქმესთან *Ergi v. Turkey* (1998 წლის 28 ივლისი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე 1998-IV) დაკავშირებულ ჩემს ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებაში განვმარტე, როდესაც სასამართლო ადგენს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას იმის საფუძველზე, რომ არ წარმართულა ქმედითი გამოძიება ადამიანის სიკვდილის თაობაზე საჩივართან დაკავშირებით, ჩემი აზრით, აღარ წარმოიშობა ცალკე საკითხი მე-13 მუხლის შესაბამისად, ვინაიდან ის ფაქტი, რომ არ წარმართულა ჯეროვანი და შესაბამისი მოკვლევა ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქმნის საფუძველს განმცხადებლის საჩივრისათვის მე-2 და მე-13 მუხლების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით მე მივუთითებ ჩემს განსხვავებულ აზრზე საქმეში *Kaya v. Turkey* (იხ. ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1998 წლის 19 თებერვალი, მოხსენებები 1998-I) და ამ საკითხზე კომისიის უმრავლესობის მოსაზრება (იხ. საქმეზე *Aytekin v. Turkey*, განაცხადი №22880/93, 1997 წლის 18 სექტემბერი, *Ergi v. Turkey*, განაცხადი №23818/94, 1997 წლის 20 მაისი; *Yaşa v. Turkey*, განაცხადი №22495/93, 1997 წლის 8 აპრილი).